პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 აპრილი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 92 (15609)

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ იბრძოლეთ სოციალისტური ეკონომიკის — სამშობლოს ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის საფუძვლის — შემდგომი აღმავლობისათვის!

უფრო ფართოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

ხუთწლედი — ვადამდე!

☐ 21 აპრილი კომუნისტური შაბათობის დღეა. ☐ შრომის ამ დღესასწაულამდე ორი დღე დარჩა. ☐ როგორ ემზადებით, რა წვლილს შეიტანთ ხუთწლედის ფონდში?

ერთსულოვანი გადაწყვეტილებით

ფოთი. (საქ. კორ.). ქალაქში მთავრდება მზადება კომუნისტური შაბათობისათვის. გადაწყვეტილია, რომ ამ დღეს 34 საწარმოსა და დაწესებულების 6.777 წევრი გამოვა შაბათობაზე და გამოუშვებს 313 ათასი მანეთის პროდუქციას, მეცხრე ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 18.030 მანეთი.

ხაოკვანო თევზჭერის სამმართველოს კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა შაბათობის დღეს გამოუშვას 117 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადარიცხოს 2050 მანეთი.

საცხოვრებელი ავტობუსი

თბილისი. № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ნაყოფიერად იშრომა პირველ კვარტალში. გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა. პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 22 ათასი მანეთით გადააჭარბა. ახლა აქ დაცხოველებით ემზადებიან კომუნისტური შაბათობისათვის. გადაწყვიტეს, რომ ამ დღეს ემუშაონ დამკვრელურად და გამოუშვან 8 სატვირთო ავტომანქანა, 12 ცალი ძრავი, ერთი სამგზავრო ავტობუსი. შაბათობის დღეს გათვალისწინებულია, — თქვა ქარხნის დირექტორმა გ. ზალდასტანიშვილმა, — გამოვუშვათ პირველი საცხოვრებელი ავტობუსი მშენებლებისათვის, რომელსაც ექნება თერთმეტი საწოლი, სამზარეულო და სხვა სათავსები. გამომუშავებულ ხელფასს მთლიანად გადავრიცხავთ ხუთწლედის ფონდში.

წელს უკეთ, ვიდრე შარშან

ბათუმი. (საქ. კორ.). ბათუმელ მშრომელებს კომუნისტური შაბათობის მოწყობის კარგი ტრადიცია აქვთ. ისინი ამჟამადაც მომზადებული ხვდებიან ამ დიდ ღონისძიებას. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მენავთობეებმა, მანქანათმშენებლებმა, გემთმშენებლებმა, ელექტროტექნიკოსებმა, მეფეხსაცმელეებმა. შაბათობაში 45 ათასი ბათუმელი მიიღებს მონაწილეობას, 6 ათასი კაცით მეტი, ვიდრე შარშან. ამიტომ შესაბამისად გაიზრდება პროდუქციის გამოშვებაც და ხუთწლედის ფონდში გადარიცხული თანხაც. მაგალითად, შარშან ბათუმელებმა 338 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია გამოუშვეს, წელს კი 400 ათას მანეთს გადააჭარბებენ. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 50 ათასი მანეთი.

დიდი სამუშაოები შესრულდება ქუჩებში, სკვერებში, ქალაქის გარეუბნებში, საწარმოთა ტერიტორიებზე, კეთილმოეწყობა და გამწვანდება ბევრი უბანი.

21 აპრილი კომუნისტური შაბათობის დღეა

ექვსი ძმა მაღაროელი

ჭიათურელი მაღაროელები, რომლებიც უკრაინელ თანამოსაქმეებთან ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველდღიურად ამაღლებენ შრომის ტემპს, ზრდიან მარგანეცის გამოღებას, ამცირებენ დანახარჯებს, აუმჯობესებენ ეკონომიურ მაჩვენებლებს.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მაღაროელებმა პირველი წარმატება მოიპოვეს. მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების პირველი კვარტალის გეგმა 29 მარტისათვის შესრულეს. გეგმის გადამეტებით მეტალურგიულ ქარხნებს 250 ათასი ტონა მარგანეცი გაუგზავნეს. აღსანიშნავია, რომ, პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის დაცვით მაღაროელებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და სამშობლოს მარტო 2 თვეში 336 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცეს.

ტრესტის ამ საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივს, რომელმაც პირველი კვარტალის გეგმა 27 მარტისათვის შესრულა. კალინინელებმა ამ წარმატებას იმით მიაღწიეს, რომ გონივრულად მოაწყვეს სოციალისტური შეჯიბრება. მაღაროს ჰყავს ბევრი სახელოვანი ადამიანები, რომლებიც ცვლის დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მათ შორის პატივისცემით იხსენიებენ ძმებს გაფრინდაშვილებს. ყოველი მათგანი მონდომებით შრომობს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად. ექვსივე ძმა პასუხსაგებ უბნებზეა. ქიჭიკო საშეინკლო საქმის ოსტატია, ბიჭიკო და ოთარი ელმავლის მემანქანეები არიან, გრიგოლი და ომარი გვირაბგამყვანებად მუშაობენ, ხოლო ვაჟა — ექსკავატორის მემანქანეა.

სურათზე: ძმები მაღაროელები (მარცხნიდან მარჯვნივ) ბიჭიკო, ქიჭიკო, გრიგოლი, ოთარი, ომარი და ვაჟა გაფრინდაშვილები.

ა. მამაჯანიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სეზონში — 6.500 კილოგრამი

ლანჩხუთი. (საქ. კორ.). ხოფულ მამათის კოლმეურნეობაში ხანაჭიმედ შრომობს ახალგაზრდა მეჩაიე ნანული პატიეშვილი. მან ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო — დროზე დაამთავრა ბუჩქების რიგთა შორის შებარვა, მინერალური სასუქების შეტანა და სადრენაჟო არხების გაწმენდა.

ახლა დუყები ამოიყარეს კარგი მოვლით გათამამებულმა ბუჩქებმა. ახალგაზრდა მეჩაიე კი ყოველდღიურად თავს დასტრიალებს პლანტაციას და მალე დაიწყებს კრეფას. ნანული პატიეშვილის გადაწყვეტილებაა სეზონში მოკრიფოს 6.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად შარშან მოკრეფილი 5.500 კილოგრამისა.

შეხვედრა მეჩაიესთან

ხობი. (საქ. კორ.). ხოფულ დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობაში და რაიონში ყველა კარგად იცნობს სახელგანთქმულ მეჩაიეს, შრომის წითელი დროშის ორდენოსანს ეუნურა ხარაბაძეს.

უხვი მოსავლის ოსტატი ახლა ყოველმხრივ მზად არის ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის. მისგან მიღებული მინებული პლანტაციები სანიმუშოდ აქვს დამუშავებული. ახლა დუყებმა გამოილევიეს, სულ მალე დაიწყება შერჩევითი კრეფა.

ამას წინათ ე. ხარაბაძეს შეხვედრა მოუწყეს № 2 ბიბლიოთეკის მკითხველებმა. მოწინავე მეჩაიემ მოიხსენა დიდი ღირსეული წვლილი შეიტანის მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში.

შეჯიბრების ავანგარდში

ზუგდიდის № 2 ჩაის ფაბრიკის კოლექტივი ჩაება ავების მრეწველობის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ტექნოლოგიური მანქანა-მოწყობილობანი, ძირითადი და დამხმარე შენობა-ნაგებობანი ახალი სეზონისათვის დროულად მომზადდა.

კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის პირველი კვარტალის გეგმის ძირითადი მაჩვენებლები ვადამდე შეასრულა. მიიღო და გადაამუშავა 270 ტონა ლიმონის მასალა, გეგმით გათვალისწინებული 60 ტონის ნაცვლად გამოშვებულია 70 ტონა ნახევარფაბრიკატი. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან 5,6, ხოლო გასულ წელთან შედარებით 27,6 პროცენტით გაიზარდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან წარმოების მუშაკები ე. მენაბდე, ლ. ტუღილიძე, ნ. დოლიძე, ქ. პაჭკორია, ნ. კილაძე, მ. წულაძე და სხვები.

ფაბრიკა განაგრძობს მუშაობას მეორე კვარტალის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

(საქინფორმი).

285.000 ტონა ჩაისათვის

ა. ნ. კოსიგინი შეხვდა ირანის პრემიერ-მინისტრს

17 აპრილს მოსკოვში იყო ირანის პრემიერ-მინისტრი ა. ა. ჰოვეიდა, რომელიც ლონდონიდან სამშობლოში მიემგზავრება.

შერემეტიევოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ირანისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ა. ა. ჰოვეიდას შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

აეროპორტში გაჩერების დროს ა. ნ. კოსიგინსა და ა. ა. ჰოვეიდას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებს. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. პ. კოზირევი და ირანის ელჩი სსრ კავშირში მ. რ. ამირ თეიმური.

ა. ნ. კოსიგინმა სადილი გამართა ა. ა. ჰოვეიდას პატივსაცემად.

იმავე დღეს ირანის პრემიერ-მინისტრი მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს

18 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი პიტერ უოკერი, რომელიც მეთაურობს ინგლისის დელეგაციას საბჭოთა კავშირ-ინგლისის მეცნიერულ-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის მუდმივი მთავრობათაშორისო კომისიის მეორე სესიაზე.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე, აგრეთვე სესიის შედეგებისა და ორივე ქვეყნის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზე. (საკდესი).

„ლუნოხოდ-2" კვალის აღმოსავლეთ ფერდობზე

ფრენების მართვის კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 18 აპრილი. (საკდესი). 13–18 აპრილს გამართული კავშირის სეანსების დროს „ლუნოხოდ-2" განაგრძობდა ლემონიეს კრატერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ტექტონიკური ნაპრალის კვლევას.

თვითმავალი აპარატი მოძრაობდა სამხრეთისაკენ ნაპრალის დასავლეთი საზღვრის გასწვრივ, შემდეგ შემოუარა მას სამხრეთიდან და დაიწყო მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ აღმოსავლეთი ფერდობის გასწვრივ. მოძრაობის დროს გაგრძელდა მთვარის ზედაპირის მახასიათებლების კომპლექსური გაზომვა, ხორციელდებოდა გარემოს სატელევიზიო გადაღება, განუწყვეტლივ წარმოებდა მაგნიტური გაზომვა. ამასთან, კერძოდ, ფიქსირებულია ქანების დამაგნიტების ზრდა ნაპრალთან მიახლოებისას როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მხრიდან.

მთვარემავლის რადიომეტრმა აღნიშნა მზის აქტიობის ზრდა 12 აპრილიდან 18 აპრილამდე. იგივე აღნიშნეს მზის დაკვირვების სამსახურებმა დედამიწაზე.

საბჭოთა ავტომატური აპარატი „ლუნოხოდ-2" განაგრძობს მთვარის კვლევას.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კიევი. 17 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მოხსენება „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ.

მოხსენებაზე გაიმართა კამათი.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-მექსიკის მოლაპარაკება

16 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და მოსკოვში მყოფმა მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ემილიო ო. რაბასამ გაცვალეს ნოტები საბჭოთა კავშირ-მექსიკის შერეული კომისიის მოწვევის შესახებ, რომელიც შეიქმნა სსრ კავშირსა და მექსიკას შორის კულტურული და მეცნიერული გაცვლის თაობაზე, 1968 წლის 28 მაისის შეთანხმების შესაბამისად.

შერეული კომისიის ამოცანაა შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი ორ ქვეყანას შორის კულტურული და მეცნიერული გაცვლის დარგში თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ნოტების გაცვლას ესწრებოდნენ: მექსიკის მხრივ — პრეზიდენტი ლუის ეჩევერია ალვარესი და მისი თანმხლები ოფიციალური პირები, საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, დ. ა. კუნაევი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილენი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ლუის ეჩევერია ალვარესს 16 აპრილს გულთბილად შეხვდა საბჭოთა კავშირში უძველესი უმაღლესი სასწავლებლის — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ლენინის გორაზე გაიმართა პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა კრება.

მეგობრობისა და სიმპათიის გრძნობით ვხვდებით ჩვენს უნივერსიტეტში მექსიკის ხელმძღვანელებს, რომლის ხალხმა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლით მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების პატივისცემა და სიმპათიები მოიპოვა, განაცხადა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა რ. ვ. ხოხლოვმა. სსრ კავშირისა და მექსიკის მეცნიერულ კონტაქტებს, აღნიშნა მან, თითქმის ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. ჩვენ გვახსოვს, რომ მექსიკის მეცნიერები ულრესად მეგობრულად ეკიდებოდნენ და ხელს უწყობდნენ თავიანთ საბჭოთა კოლეგებს. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გამოთქვა რწმენა, რომ მექსიკის პრეზიდენტის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებას ორი ქვეყნის მეცნიერებს შორის.

მოსკოვის სტუდენტობის სახელით მექსიკის პრეზიდენტს მიესალმა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ნატაშა ოლეინიკოვა.

შემდეგ გამოვიდა ლუის ეჩევერია ალვარესი, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ. თქვენი უნივერსიტეტის სახელი, თქვა მან, ფართოდ ცნობილია საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. ჩვენ ვიცით, რომ უნივერსიტეტის წინაშე დასახულია დიდი ამოცანები ქვეყნის პროგრესის საქმეში. მე აქ ვნახე, როგორ უნდა გამოვიყენოთ ადამიანის ნება და გონება საზოგადოების პროგრესის მიზნებისათვის. [illegible] ისეთი უნივერსიტეტები, როგორიც თქვენია, შეუძლებელი იქნებოდა გაგვეგო და აგვეხსნა ის მნიშვნელოვანი პროგრესი, რომელსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია.

საბჭოთა კავშირი, ხაზი გაუსვა მექსიკის პრეზიდენტმა, მაგალითია კულტურისა, რომელიც ხალხმა შექმნა.

ლუის ეჩევერია ალვარესი დაწვრილებით შეეხო პრობლემებს, რომლებიც მისი ქვეყნის წინაშე დასახულია უმაღლესი განათლების განვითარებისა და სხვადასხვა დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა ეროვნული კადრების მომზადების საქმეში.

დასასრულ მან მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის და მექსიკის ხალხის სახელით ძმური სალამი გადასცა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს. (საკდესის კორ.).

მოგზაურობა გრძელდება

17 აპრილს მექსიკის პრეზიდენტი ჩამოვიდა ირკუტსკში. აეროდრომზე მას დახვდნენ ირკუტსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ა. კრავჩენკო, ოლქისა და ქალაქის სხვა ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საკდესი).

ბრატსკი. 18 აპრილი. (საკდესი). დღეს ბრატსკში ჩამოვიდა მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლუის ეჩევერია ალვარესი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში.

პრეზიდენტი იწვია ალუმინის ქარხანამ — ასეთ ქარხნებს შორის ჩვენი ქვეყნის უდიდესმა და ყველაზე ახალგაზრდა საწარმომ. მისი პროდუქცია კარგად არის ცნობილი საზღვარგარეთაც. შემდეგ ლ. ეჩევერია გაეცნო ხე-ტყის მრეწველობის კომპლექსს.

მექსიკის სახელმწიფოს მეთაური ამავე დღეს იყო ბრატსკის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ჰიდროელექტროსადგურში. საპატიო სტუმრების წიგნში მან ჩაწერა: „დიდი ინტერესით დავათვალიერე შესანიშნავი ნაგებობა, — ბრატსკის ჰიდროელექტროსადგური. მიმაჩნია, რომ იგი მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები".

საღამოს ლ. ეჩევერია და მისი თანმხლები პირნი ბრატსკიდან ირკუტსკში გაემგზავრნენ.

საბჭოთა კავშირ — მექსიკის შეთანხმებანი

მოლაპარაკების შედეგად 16 აპრილს მოსკოვში სსრ კავშირსა და მექსიკას შორის ხელი მოეწერა სავაჭრო შეთანხმებას, ოქმს საბჭოთა კავშირ-მექსიკის ვაჭრობის შერეული კომისიის შექმნის შესახებ და ოქმს საბჭოთა მანქანებისა და მოწყობილობის მექსიკაში მიწოდების შესახებ გადასახდელის განვადების პირობებით. (საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

თანამშრომლობის საფუძველზე

ბამბასაწმენდი ქარხნები ამერიკის შეერთებული შტატებიდან

ტაშკენტში ამოქმედდა ბამბასაწმენდი ქარხანა, რომლის მოწყობილობა გამოგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ფირმამ „პლატ-ლუმუსმა". საწარმო წელიწადში 54 ათას ტონა ხამ ბამბას გადაამუშავებს.

ეს ერთი იმ ექვს ბამბასაწმენდ ქარხანათაგანია, რომლებიც ამერიკის მთელი რიგი უდიდესი ფირმებისაგან შეისყიდეს.

ოთხი ქარხანა განკუთვნილია ხამი ბამბის საშუალობოჭკოიანი ჯიშების გადასამუშავებლად, ორი — წვრილბოჭკოიანისათვის. ისინი უკვე მოქმედებენ უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში და აწარმოებენ პროდუქციის [illegible].

— ყურადღებას იპყრობს ავტომატიზაციის მაღალი დონე, მოწყობილობის ოსტატური დამონტაჟება და დიდი სიწმინდე პროდუქციისა, რომელსაც ამერიკული ტექნიკის დახმარებით ვიღებთ, — თქვა ბამბის მრეწველობის ცენტრალური სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტის განყოფილების უფროსმა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ი. ფურსოვმა. — მაგრამ, როგორც საწარმოო გამოცდამ გვიჩვენა, ამ მანქანებით გამომუშავებული წმინდა ბოჭკოს ხარისხი საბჭოთა ფეიქრებს შორის მიღებულ სტანდარტებზე დაბალია. კერძოდ, მნიშვნელოვანია ბოჭკოებში რბილი დაზიანების პროცენტი, დიდია ბოჭკოს გამოსავლიანობა. ამიტომ ჩვენ ზოგიერთი კვანძი შევცვალეთ საბჭოური წარმოების კვანძებით, სრულვყავით მოწყობილობის მუშაობის რეჟიმი, და ბოჭკოს ხარისხი მაშინვე გაუმჯობესდა.

(საკდესის კორ.).

ღირსშესანიშნავი ფორუმი

დღეს ბათუმში იხსნება მეორე სრულიად საკავშირო თათბირი მესაზღვრეთა შესახებ ლიტერატურის საკითხებზე

ბათუმი. (18 აპრილი. „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი ზ. რცხილაძე ტელეფონით გვატყობინებს) ხვალ, 19 აპრილს გაიმართება მეორე საკავშირო თათბირი სამხედრო პატრიოტული თემისადმი მიძღვნილი მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე, რომელსაც აწყობს სსრ კავშირის მწერალთა კავშირი და სასაზღვრო ჯარების პოლიტიკური სამმართველო.

18-დან 21 აპრილამდე ბათუმი მწერალთა მასპინძელია; აქ ჩამოვიდნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, მოძმე რესპუბლიკების კალმის ოსტატები, რათა განიხილონ უკანასკნელ ხანს შექმნილი ნაწარმოებები, დასახონ მომავალი გეგმები, ეწვიონ მესაზღვრეებს.

თათბირზე გამოვლენ მწერლები, კრიტიკოსები. გააკეთებენ მოხსენებებს თემებზე: მესაზღვრის სახე საბჭოთა ლიტერატურაში, საბჭოთა პოეზია და მესაზღვრეები, სასაზღვრო ჯარები და ლიტერატურა და სხვ.

ჯგუფი მწერლებისა უკვე ჩამოვიდა.

ჩვენ ვესაუბრეთ ზოგიერთ მათგანს: აი რა თქვეს მათ:

გენერალ-მაიორი პაველ ლეჟეპეკოვი, საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების პოლიტსამმართველოს უფროსი.

სამხედრო პატრიოტული თემისადმი მიძღვნილი მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე პირველი სრულიად საკავშირო თათბირის ადგილი ხუთი წლის წინათ ბრესტი გახლდათ. ბრესტი, რომელიც პირველი წინ აღუდგა გერმანელთა შემოტევას. სიმბოლური იყო არჩევანი თათბირისა მაშინ და არა ნაკლებ სიმბოლურია ის, რომ მეორე თათბირი ეწყობა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე ქ. ბათუმში.

საზღვრის დაცვის თვალსაზრისით ეს რთული რაიონია, დამატებით სიძნელეებს ქმნის რელიეფის თავისებურება, გეოგრაფიული პირობები. სანიმუშოა აქაურ მკვიდრთა მეგობრობა მესაზღვრეებთან. აქ ყოველი მცხოვრები იგივე მესაზღვრეა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მესაზღვრეებთან ერთად ისინი ფხიზლობენ, ჯარისკაცებთან ერთად იცავენ საზღვრის ხელშეუხებლობას. ამაში რამდენი რომანტიკა, სილამაზე, გმირობა და თავდადებაა! თათბირზე განსახილველ ბევრ სხვა საკითხთან ერთად ალბათ ამასაც მიექცევა ყურადღება, რომ ამ მტკიცე მეგობრობამ სათანადო ადგილი ჰპოვოს ჩვენს ლიტერატურაში.

ალექსი სურკოვი, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი და სამხედრო პატრიოტული ლიტერატურის კომისიის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

პირველი თათბირის შემდეგ დღემდე, ხუთი წლის მანძილზე ბევრი საგულისხმო ახალი ნაწარმოები შემატა ჩვენს ლიტერატურას, რომლის თემა საზღვრის ცხოვრებაა.

საზღვრის ჰეროიკა მწერალს მუდამ იტაცებდა, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ სისხლსავსედ, დამაჯერებლად, სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ აისახა ჩვენს ლიტერატურაში მესაზღვრეთა ცხოვრება.

ჩვენში ბევრია კარგი წიგნი მესაზღვრეებზე, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ: თვით მესაზღვრეთა გმირობა ჩვენს მწერლებს ჯერ კიდევ გვავალებს უკეთესი ტილოების შექმნას, ამიტომ შეუძლებელია სათანადოდ არ შეფასდეს ეს თათბირი, რომლის მონაწილეებს მესაზღვრეებთან დაახლოების საშუალება გვექნება. ნიკოლოზ ტიხონოვი, სერგეი სმირნოვი, კონსტანტინე სიმონოვი, სერგეი [illegible] და სხვები საგუშაგოებზე იდგნენ და რთულ პირობებში თავიანთ თავზე გამოსცადეს მესაზღვრის ბედი და იღბალი, რათა მართალი წიგნი დაეწერათ ჩვენი ქვეყნის დამცველთა შესახებ. მოხარული ვარ, რომ მაქვს საშუალება აღვნიშნო ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის რომანი „ნუ გეშინია დედა", რომელიც შეიყვარა საბჭოთა მკითხველმა. ამ წარმატების საწინდარი ავტორის ნიჭიერებასთან ერთად უნდა ვეძებოთ დუმბაძის მესაზღვრეებთან გატარებულ დღეებში.

მაშ ასე, მწერლები თათბირს იწყებენ, იწყებენ დიდ საუბარს მთელი ჩვენი ხალხისათვის აქტუალურ თემაზე, რომლის სახელია სამშობლოს საზღვარი და გმირი მესაზღვრე.

პარტიული ქრონიკა

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ჩაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. ი. ძაძუა.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. პ. საყვარელიძე.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბ. მარშანია. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი, 18 აპრილი. (საქინფორმი). გაიმართა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. ი. კოპლატაძე სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ე. გ. ადეიშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. დ. თხილაიშვილი.

□

მეთოდური კონფერენცია

გურჯაანი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო რაიონის აგიტატორთა, პოლიტინფორმატორთა და ლექტორთა მეთოდური კონფერენცია დევიზით: „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლა საერთო-სახალხო საქმეა". მოხსენება თემაზე „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე" გააკეთა პარტიის გურჯაანის რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგემ მ. სამადაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა სწავლება-დახელოვნების, პოლიტინფორმატორთა მუშაობის ორგანიზაციის, პროპაგანდისტთა და ლექტორთა როლზე შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლაში და სხვა საკითხებზე ილაპარაკეს სოფელ ვაზისუბნის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ი. სავაძემ, კაჭრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელმა აგიტატორმა მ. ფარსადანოვამ, კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ქუმსიაშვილმა, ვაზისუბნის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ პოლიტინფორმატორმა ზ. ღარიბაშვილმა.

რაიკომის შტატგარეშე ლექტორმა გ. ნათიძემ, საზოგადოება „ცოდნის" რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელმა მდივანმა გ. ნატროშვილმა, სოფელ შრომის საშუალო სკოლის პედაგოგმა, საზოგადოება „ცოდნის" ლექტორმა გ. მაისურაძემ დამსწრეთ მოუთხრეს თემებზე: — „როგორ ვემზადები ლექციის ჩატარებისათვის", „ლექცია — ცხოვრებასთან კავშირში", „თვალსაჩინოება და ტექნიკური საშუალებების მიზნობრივი გამოყენება ლექციის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის".

ა. თვალიაშვილი.

შეჯიბრება, ძიება, სიახლე

ბელადის სახელობისა

მაღარო, რომელზეც სწერდნენ ვ. ი. ლენინს

1905 წლის ბობოქარი დღეები იდგა. რევოლუციის ტალღები ზვირთდებოდნენ. „ბარომეტრი ქარიშხალს უჩვენებსო", წინასწარმეტყველებდა მაშინ რევოლუციის გენიოსი ვ. ი. ლენინი.

რევოლუციის ბარიკადებზე იდგნენ იმხანად ჭიათურელი მაღაროელები, ბოლშევიკები. ისინი იბრძოდნენ რუსი თანამოძმეების მხარდამხარ, სწავლობდნენ და იცავდნენ ლენინურ იდეებს. პარტიის ცენტრალური ორგანო „პროლეტარი" იმ ქარიშხლიან დღეებში წერდა: „ახლა ჭიათურის მუშები ჩაბმული არიან სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, ისინი გამოდიან როგორც ერთიანი, დარაზმული, ორგანიზებული რევოლუციური ძალა, რომელიც მზად არის პირველი მოწოდებისთანავე ბარიკადებზე დადგეს"...

და ჭიათურელმა მაღაროელებმა სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს რევოლუციის გმირულ მატიანეში. განსაკუთრებით ერთი შემთხვევა: ცნობილია, რომ 1905 წლის აპრილში გაიმართა პარტიის III ყრილობა, რომელიც წმინდა ბოლშევიკური იყო, და ბუნებრივია, მან მიიღო ლენინური რეზოლუციები. ყრილობის გადაწყვეტილებებს საფუძვლიანად ეცნობოდნენ და სწავლობდნენ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები.

III ყრილობის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილი მუშათა კრება გაიმართა შუქრუთის მაღაროში, რომელიც ოთხი ათეული წლაა ღირსეულად ატარებს დიდი ლენინის სახელს. სწორედ ამ კრების მსვლელობა აუწერა გამოჩენილმა რევოლუციონერმა მ. ცხაკაიამ რევოლუციის ბელადს ვ. ი. ლენინს 1905 წლის 28 ივნისს გაგზავნილ წერილში. იგი წერდა: „ჭიათურაში, ერთ ხევში, ღია მიწისქვეშა მაღაროსთან — ფარდულში 18 ივნისს (ძველი სტილით) საღამოს 9 საათზე შეიკრიბა ხუთი ქვერაიონის ჭიათურის შეგნებულ მუშათა 200-მდე წარმომადგენელი, რათა მოესმინათ დელეგატის მოხსენება მესამე ყრილობის შესახებ... ეს ჯერ კიდევ პირდაპირველი (ეს იყო შაბათ საღამოს) მუშები, რომელთა სახეებიც ზანგების სახეს ჰგავდა (მუშაობისგან), ღამის 12 საათამდე დიდი ყურადღებით უსმენდნენ დელეგატს და დასასრულს გაისმა ხანგრძლივი ტაში და შეძახილები — „გაუმარჯოს პარტიის მესამე ყრილობას"... ადგილი ჰქონდა განსაკუთრებულ გატაცებას, მათ მოსწონდათ ყველა რეზოლუცია, განსაკუთრებით კი რეზოლუციების აზრი შეიარაღებული აჯანყებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ"...

იმავე წერილში მ. ცხაკაია აღწერდა ჭიათურაში შექმნილ ვითარებას და ვლადიმერ ილიას-ძეს მოახსენებდა, რომ ჭიათურაში პარტიული ორგანიზაცია მთლიანად ბოლშევიკების ხელშია, აქვთ თავიანთი სტამბა, მუშები მენშევიკებს უნდობლად ეპყრობიან; ამის ნათელსაყოფად ვ. ი. ლენინს აცნობა ასეთი შემთხვევა: მენშევიკები თავიანთ სიტყვებში ამტკიცებდნენ — საჭირო არ არის რევოლუციის მოწყობა, იგი 10 — შეიძლება 60 წლის შემდეგ იქნესო, რაზედაც მუშები დაცინვით უპასუხებდნენ: „ასეთ შემთხვევაში მოდით და შემდეგ ასწავლეთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, ახლა კი ჩვენთვის თქვენ, მენშევიკებო, ზედმეტი ხართო!...

ამ ღირსსახსოვარი კრების თაოსან-ორგანიზატორები იყვნენ გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელები ი. სტალინი და მ. ცხაკაია. ამიტომ არის, რომ ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად აქ დადგმულია მარმარილოს მემორიალური დაფა, რომელიც ყოველთვის გვახსენებს იმ ისტორიულ კრებას. ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი ლენინელებს უორკეცებს სიამაყისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, შთააგონებს მშობლიური მაღაროს სიყვარულსა და მამაცურ შრომას.

მაღაროს კოლექტივი საუცხოოდ შრომობს, და მას არც აქვს უფლება ცუდად იმუშაოს. ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი ყოველივე ახლისა და პროგრესულის წამომწყებ-დამნერგავია. ლენინელები ნერგავენ და ავრცელებენ სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმებსა და მეთოდებს. ეს მაღარო ერთ-ერთი მძლავრი და მექანიზებული საწარმოა ჭიათურაში. მიწის წიაღში გმირულად შრომობენ ახალი ტექნიკის კარგი მცოდნე ადამიანები, რომლებიც მშობლიურ მეტალურგიას აწვდიან მაღალხარისხოვან მარგანეცს. ბევრმა მათგანმა ლენინის ორდენი დაიმსახურა. აქ უნდა მოვიხსენიოთ ნოვატორი გვირაბგამყვანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენის კავალერი ვასილ პაპიძე, რომელიც თავდადებული შრომის მაგალითს იძლევა. იგი კომუნისტურად, ლენინურად შრომობს და ცხოვრობს. ასეთები აქ ბევრია.

მარგანტრესტის კოლექტივი ლენინის ორდენს რომ ატარებს, ამაში სერიოზული წვლილი ამ მაღაროს მუშებსაც მიუძღვით. მათი მამაცური შრომის დასტურია ის, რომ მაღაროს კოლექტივმა სამუდამოდ დაისაკუთრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მათ დაიმსახურეს აგრეთვე სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი რესპუბლიკური საიუბილეო სიგელი.

ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი თავდადებული შრომით, სოციალისტური შეჯიბრების ნაცადი მეთოდების მომარჯვებით უტევს მეცხრე ხუთწლედის ზღუდეებს. ლენინის სახელობის მაღარომ საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის განვლილი ორი წლისა და ოთხი თვის დავალებები, სამშობლოს მისცა დიდძალი მოგება. მაღაროელები სახელოვნად იცავენ შრომითსა და რევოლუციურ ტრადიციებს, შეურცხვენლად ატარებენ რევოლუციის ბელადის სამაყო სახელს.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე

მეტი ყურადღება მშრომელთა ეკონომიკურ განათლებას

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მშრომელთა ეკონომიური განათლების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. სხდომამ მოისმინა საკოორდინაციო საბჭოს წევრის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გ. თამამაიშვილის ინფორმაცია მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემისათვის ქართულ ენაზე სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინო საშუალებების გამოცემის მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა ტიპობრივი სასწავლო პროგრამები ეკონომიური განათლების სისტემისათვის, ხოლო სახელმძღვანელოების ერთი ნაწილი წარმოებაშია. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ ზოგიერთი გამომცემლობა არღვევს სახელმძღვანელოების დამუშავების დადგენილ ვადებს.

მშრომელთა ეკონომიური განათლების ზოგიერთი საზოგადოებრივი საბჭოსა და ბიუროს მუშაობის შესახებ სხდომას მოახსენა საკოორდინაციო საბჭოს მდივანმა ვ. კურცხალიამ. როგორც აღინიშნა, მშრომელთა ეკონომიური სწავლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ცხაკაიას, საგარეჯოს და სხვა ქალაქებისა და რაიონების, აგრეთვე ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

მაგრამ რესპუბლიკის მშრომელთა ეკონომიურ სწავლებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი. ეკონომიური განათლების სისტემის დაკომპლექტებაში შეცდომები აქვთ დაშვებული ვაჭრობისა და მშენებლობის სამინისტროების ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციას. ამ სამინისტროთა ხელმძღვანელი კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მეცადინეობს ეკონომიური განათლების ტიპობრივი სასწავლო ჯგუფებისა და პროგრამების მიხედვით. ძირითადად ეს იმის შედეგია, რომ ვაჭრობისა და მშენებლობის სამინისტროების მშრომელთა ეკონომიური განათლების ბიუროები სუსტად ხელმძღვანელობენ, სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ მშრომელთა ეკონომიურ სწავლებას. კიდევ მეტი, ამ ბიუროებს არა აქვთ სამუშაო გეგმები, არ ატარებენ სხდომებს, არ სწავლობენ და ანალიზს არ უკეთებენ ეკონომიური განათლების მდგომარეობას მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში. სუსტად მუშაობს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომთან არსებული მშრომელთა ეკონომიური განათლების რაიონული საბჭო. საბჭოს სხდომებზე საკითხებს იხილავენ ზერელედ და არ სახავენ ქმედით ღონისძიებებს ეკონომიური სწავლების გასაუმჯობესებლად. რაიონის არც ერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში არაა შექმნილი მშრომელთა ეკონომიური განათლების საზოგადოებრივი ბიურო, თუმცა აქ არის ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც მომუშავეთა რაოდენობა ათას კაცს აღემატება.

განხილულ საკითხებზე მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო დადგენილებები.

საკოორდინაციო საბჭომ განიხილა და დაამტკიცა მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური მეთოდიკური კაბინეტის დებულება, აგრეთვე მეთოდიკური რეკომენდაციები მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემაში შემაჯამებელი მეცადინეობის ორგანიზებულად მოწყობის შესახებ.

მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მუშაობა შეაჯამა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ვადაჭკორიამ. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

ნაყრუებაც, მაამებლობაც

დანაშაული მოხდა, სად იყვნენ კომუნისტები?

პარტიული ორგანიზაცია კოლექტივის სული და გულია, მისი უშუალო აღმზრდელია, მისი მეთაურია. სწორედ იმაზე, თუ რამდენად ბრძოლისუნარიანია კომუნისტთა პირველადი ორგანიზაცია, დიდად არის დამოკიდებული შრომითი კოლექტივის განწყობილებაც, მისი წარმატება, მისი ჭეშმარიტი სახე. და პირიქით, თუ პარტორგანიზაცია სისუსტესა და უხერხემლობას იჩენს, თუ მასში მოხერხებულად მოიკალათეს და წლობით დაუსჯელად იგრძნეს თავი ულირსმა წევრებმა, მაშინ შრომითი კოლექტივიც ზარალდება, ავადმყოფობა თანდათან ეპარება და ძნელად განსაკურნავი ხდება.

ბათუმის ღვინის ქარხანაში ყოველი მეოთხე კაცი კომუნისტია, და მაინც აქ დიდი დანაშაული მოხდა. დიახ, იგი მოხდა მოწინავე მუშების, მთელი კოლექტივის თვალწინ, შეიძლება ზოგიერთის ხელის შეწყობითაც, რომელთაც ახლაც პირში წყალი ჩაუგუბებიათ და გამბედაობა არ ჰყოფნით ყველაფერი აღიარონ.

არყის ჩამომსხმელი საამქროს მეღვინე ოსტატი როცა შვებულებაში მიდიოდა, ქარხნის ხელმძღვანელობა მის ადგილას შეთავსებით ნიშნავდა საკონიაკე სპირტსახდელი საამქროს ოსტატ-მეღვინეს ჯემალ მუმლაძეს. და აი, 1972 წლის ივლის-აგვისტოში ასეთი მორიგი „შეთავსების" დროს თვალის მოხვევით შეპყრობილი მუმლაძე დაადგა დანაშაულებრივ გზას, იგი „ექსტრას" იარლიყით უშვებდა დაბალი ხარისხის არაყს, გარდა ამისა, დანაშაულებრივი გზით შეიძინა არასაჭირო სპირტი, რომლითაც 204.400 მანეთის ფალსიფიცირებული პროდუქცია ჩამოასხა.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, სწორედ ასე მოხდა ქარხანაში. ნაცვლად იმისა, რომ ლაბორატორიის გამგეს ა. კეკელიძეს ფხიზლად ეთვალა უხარისხო არყის გამოშვება, იგი დანაშაულებრივი მოქმედების თანამონაწილე გახდა.

ვინ არის ა. კეკელიძე?

ღვინის ჯაფუთური ლაბორანტობისათვის 1964 წელს კიროვის ოლქის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ კეკელიძეს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა. დატრიალდნენ „კეთილი ბიძები" და ა. კეკელიძე რამდენიმე თვეში თბილისში გადმოიყვანეს, ცოტა ხნის შემდეგ თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ განაჩენით დარჩენილი მოუხდელი 2 წელი და 3 თვე შეუცვალა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და მიამაგრა მახარაძის რაიონის № 4 სამშენებლო ტრესტს. იმავე „კეთილმა ბიძებმა" ა. კეკელიძე 1966 წლის 13 ივლისს სასჯელის მოხდამდე ბათუმის ღვინის ქარხანაში ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე „დასვეს". (ამაზე იტყვიან, ღმერთი თუ გწყალობს, ეშმაკი რას დაგაკლებსო!) აქ კი, ქართული ანდაზისა არ იყოს, ხელმა ხელი დაბანა, ორივე კი... მოკლედ, კეკელიძე მუმლაძეს შველოდა, და, ცხადია, არც მუმლაძე რჩებოდა ვალში.

კომბინაციას კომბინაცია მოჰყვა, ფალსიფიკაციას — ფალსიფიკაცია. მოხდა ისე, რომ საწარმოში სპირტის დანაკლისი აღმოჩნდა. ეს რომ არ გამჟღავნებულიყო, სამტრესტის მმართველის ყოფილი მოადგილის ვ. მოდებაძისა და ქარხნის ყოფილი დირექტორის დ. მიქელაძის თანხმობით აქ ავტომანქანებით შემოიტანეს 23 ტონა უფაქტურო ღვინო, რომელიც გამოხადეს სპირტსახდელში სპირტის დანაკლისის შესავსებლად.

რას აკეთებდა ამ დროს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მთელ შრომით კოლექტივში უნდა აღვივებდეს საბჭოთა მორალის მაღალ თვისებებს, ნიღაბს ხდიდეს კომბინატორებსა და წამგლეჯებს?

ფაქტი ჯიუტია, იგი ნათელს ფენს ყველაფერს. 23 ტონა ღვინო ზესტაფონის რაიონში შეისყიდეს და ავტომანქანებით გადმოიტანეს. ამას ხედავდნენ როგორც გუშაგი, ისე მუშები, მათ შორის კომუნისტები, რომლებიც დატვირთვა-გადმოტვირთვაზე შრომობდნენ. იყო შემთხვევები, როცა მუმლაძემ სამუშაო საათებში მუშები დაითხოვა, საამქროში ჩაიკეტა და სპირტის გამოხდას კონსპირაციულად შეუდგა. ასეთმა შემთხვევამ ზოგიერთებში ეჭვი აღძრა, მაგრამ იგი ქარხნის კედლებს არ გასცილებია. ეს ამბავი რომ პარტიული ან ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მაშინვე ეცნობებინათ, დანაშაული ხომ ადრევე აღიკვეთებოდა?!

დადგენილია ისიც, რომ ღვინომასალის სარდაფში დამნაშავე პირები აწარმოებდნენ უკონდიციო, ხელოვნურად სიმაგრედაკლებული ღვინის ჩამოსხმას. მარტო შარშან მათ ასეთი გზით შეძლეს მიეთვისებინათ 16.900 მანეთი. ამას სჩადიოდა პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე, სახალხო კონტროლიორი შ. დავითაძე. აი როგორმა ხალხმა მოიკალათა პარტიულ ორგანიზაციაში.

მუმლაძემ, დავითაძემ და სხვებმა, რომლებიც სარგებლობდნენ პარტიული ორგანიზაციის უმოქმედობით და აქაურ კომუნისტთა დოყლაპიობით, დიდი ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს. ამას ემატებოდა ისიც, რომ დირექციის სუსტი მუშაობით საწარმოში მოშლილი იყო შრომის დისციპლინა.

პარტიული კრებების ოქმები ორგანიზაციის ცხოვრების სარკეა. ღვინის ქარხნის პარტორგანიზაციის განვლილ მუშაობას რომ გადახედოთ, ნათლად დაინახავთ, რომ აქ ყველაფერი თვითდინებაზე იყო მიშვებული, მდივანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ორგანიზაციაში მტკიცე დისციპლინის დამყარებას, დაკნინეს პარტიული ორგანიზაციისა და პარტიული კრებების როლი, კომუნისტთა კრებებზე ძირითადად განიხილავდნენ მხოლოდ ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებებს, არ იყო დაწესებული პარტიული კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, არ ისმენდნენ კომუნისტთა თვითანგარიშებს, მოისუსტებდა კრიტიკა და თვითკრიტიკა, ნაკლები ყურადღება ექცეოდა კოლექტივიზმს, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების პროპაგანდას. ამიტომაც იყო, რომ მუშები არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობდნენ საერთო საქმისადმი. უდისციპლინობამ, გულგრილობამ, მაამებლურმა ატმოსფერომ საქმე კატასტროფამდე მიიყვანა.

ამჟამად დაპატიმრებულია ოთხი კომუნისტი, ორი კი სამსახურიდან გაათავისუფლეს, ეს მთელი ორგანიზაციის მესამედია. პარტიულმა ორგანიზაციამ მომხდარ დანაშაულზე იმსჯელა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა რადიკალური ღონისძიებანი განახორციელეს. პარტიული კრების ოქმი სავსეა მაღალფარდოვანი ფრაზებით, ლაპარაკია მორალზე, საბჭოთა მუშის სინდისზე, მომხდარ სამარცხვინო შემთხვევაზე და როცა ანალიზს ვუკეთებთ ყველაფერ ამას, ნათლად ჩანს, რომ ამ კრებაზეც ცოტა როდი იყო ყალბი გამოსვლები. ლაპარაკობდნენ მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. არცერთ კომუნისტს არ ეყო გამბედაობა ჭეშმარიტებისათვის გაესწორებინა თვალი და პირდაპირ ეთქვა, რომ მომხდარ დანაშაულში მეტნაკლებად ყველას მიუძღვის ბრალი, დამნაშავეთა დაფარვამ, საერთო მოშვებულობამ, უპასუხისმგებლობამ საქმე სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა.

როცა ქალაქის პარტიული აქტივის კრებაზე ანალიზი გაუკეთეს ამ ფაქტს, დარბაზიდან სამართლიანად შენიშნეს: ყველა დამნაშავეა, მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა აგოს პასუხი.

ბათუმის ღვინის ქარხანაში მომხდარი შემთხვევიდან ყველას საჭირო დასკვნა როდი გამოუტანია, ბოლო პარტიული კრების ოქმებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი [illegible] მუშა კვლავ იჩენს უდისციპლინობას, არ იცავს შრომის კულტურას, ტექნოლოგიურ რეჟიმს. პარტიულ ორგანიზაციაში აღრიცხვაზე იმყოფება ოთხი ისეთი კომუნისტი, რომელთაც საწარმოსთან საერთო არაფერი აქვთ. ისინი თავისუფლად მოწყვეტილნი არიან პარტიულ ცხოვრებას.

მომხდარმა ამბებმა ღრმად უნდა ჩააფიქროს საწარმოს ყველა კომუნისტი, მთელი კოლექტივი, ცხოვრებამ დაამტკიცა... მუშაობის აღრიცხვია, ღრომოქმული სტილის უვარგისობა, ახლა მთავარია თითეულ ადამიანში აღვზარდოთ მინდობილი საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ხოლო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთავარმა მიმართულებებმა, რომლებიც ზემდგომმა პარტიულმა ორგანოებმა დაგვისახეს, ხელი უნდა შეუწყოს შინაპარტიული მუშაობის შემდგომ აქტივიზაციას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფას.

აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა, რომელიც სუსტად ხელმძღვანელობდა ქარხნის პირველად პარტიულ ორგანიზაციას, უშვებდა შეცდომებს კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში, არ იჩენდა საჭირო მომთხოვნელობას.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

გაგრის თევზის კომბინატის კონვეიერებიდან ყოველდღიურად 30-32 ათასი ქილა სხვადასხვა თევზის კონსერვი ჩამოდის. ეს 5-6 ათასი ქილით აღემატება გასული წლის მარტის მაჩვენებელს.

კომბინატის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრება გაშალა. პირველი კვარტალის დავალებები 28 მარტისათვის შეასრულა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 70 ათასი ქილით მეტი კონსერვი გამოუშვა.

ახალგაზრდა დამფასოებელი, კომკავშირელი ელისო ბერაია კარგ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს. მან ვადამდე შეასრულა პირველი კვარტალის დავალებები და ამჟამად წარმატებით შრომობს მაისის ანგარიშში. ყოველდღიურად ნორმებს 25-30 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: გაგრის თევზის კომბინატის საკონსერვო საამქროს მოწინავე მუშა ელისო ბერაია.

ი. პოხონელიძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

უპასუხისმგებლობის შედეგი

რედაქციას უპასუხებს პარტიის ვანის რაიკომი

„კომუნისტის" რედაქციამ ვანის რაიონიდან მიიღო მამხილებელი წერილი, რომელიც ეხებოდა სოფელ გორას კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

რედაქციამ წერილი ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქართველოს კპ ვანის რაიკომს. აი რას გვწერს რაიკომი: შემოწმდა სოფელ გორას კოლმეურნეობის გამგეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა. შემოწმებით დადგინდა, რომ 1971 წლის პირველი იანვრიდან 1973 წლის პირველ იანვრამდე განვლილი ორი წლის მანძილზე ფერმის გამგე გ. ზაქრაძე, მთავარი ბუღალტერი ა. ხარაბაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. გოცირიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლ. ზაქრაძე, ეკონომისტი გ. ხარაბაძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნ. საკანდელიძე და სხვები ინვენტარიზაციისა და პირუტყვის სულადობის საალრიცხვო ფორმებს (ფორმა № 24) ავსებდნენ არასწორად, ფაქტიური მდგომარეობის აღწერისა და შედარების გარეშე, იმ განზრახვით, რომ აეცილებინათ ზემდგომი ორგანოების წინაშე პასუხისმგებლობა.

დადგენილია, რომ 1971 წელს საზაფხულო საძოვრებზე ქარიშხლის და სეტყვის შედეგად დაიხოცა 22, წყალში დაიხრჩო — 4, ცუდი კვების შედეგად და სიჯანდაგით დაიხოცა 22 სული, ხოლო 1972 წლის ზამთრისა და ადრე გაზაფხულის თვეებში ყინვის გამო და ცუდი კვებით დაიხოცა 44 სული მოზარდი პირუტყვი (აქედან არცერთი არ ყოფილა მოზრდილი პირუტყვი).

შემოწმებით დადგინდა, რომ ვეტსამკურნალოსა და ვეტუბნების სპეციალისტები დახოცილ პირუტყვზე დიაგნოზებს არ იძლეოდნენ ინსტრუქციის შესაბამისად, დახოცვის შესახებ არ ადგენდნენ აქტებს და აიძულებდნენ ფერმის მუშაკებს შეევსოთ დანაკლისი შესყიდვის გზით. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო (ყოფილი უფროსი გ. მაღლაკელიძე) ცუდად ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

საქართველოს კპ ვანის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი — სოფელ გორას კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. კოლმეურნეობას რჩევა მიეცა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე დ. გოცირიძე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნ. საკანდელიძე გაეთავისუფლებინათ თანამდებობიდან. კოლმეურნეებმა ისინი აღარ აირჩიეს.

პირუტყვის დაცემისა და მისი აღრიცხვის საქმეში დაშვებული თვალისახვევისათვის სოფელ გორას კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი ა. ხარაბაძე და ფერმის გამგე გ. ზაქრაძე მოხსნეს სამუშაოდან.

ყოფილი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლ. ზაქრაძე, რომელიც პარტიული ორგანიზაციის მდივნად მუშაობდა, პირუტყვის სულადობის შემოწმებისას დაშვებული უპასუხისმგებლობისათვის განთავისუფლდა პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან.

პირუტყვის დახოცვის შესახებ აქტების გაუფორმებლობისათვის და არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის სოფელ ზეინდრის ვეტუბნის გამგე ხონელიძე გადაყვანილია უფრო დაბალ თანამდებობაზე.

რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი ვ. ლუტიძე განთავისუფლებულ იქნა ამ თანამდებობიდან.

სოფელ გორას კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში გამოვლინებული პირუტყვის დახოცვის მასალები დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად გადაეგზავნა რაიონის პროკურატურას. ამასთან რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი მეცხოველეობის ფერმებში მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ნაცადი, მრისხანე იარაღი

მესაზღვრეთა შესახებ მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე საკავშირო თათბირის გამო

ახლა, როცა ბათუმში ეწყობა მეორე სრულიად საკავშირო თათბირი მესაზღვრეთა შესახებ მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე, ჩვენი ოლქის მეომრები მხურვალე მადლობას უხდიან მწერლებს წვლილისათვის, რომელიც მათ თავიანთი ნაწარმოებებით შეაქვთ საზღვრის ოფიცერთა, სერჟანტთა და ჯარისკაცთა იდეურ-პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდაში.

სასაზღვრო ჯარები პარტიისა და ხალხის გმირული ტრადიციების ერთგული არიან. საკადრის პასუხს სცემენ რა ყოველგვარ პროვოკაციასა და ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევის ცდებს, ისინი პირნათლად იცავენ ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრებს.

ლიტერატურა მესაზღვრეთა შესახებ მთელი სამხედრო-პატრიოტული ლიტერატურის შემადგენელი ნაწილია.

საზღვრის მეომრებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ლტოლვა — მებრძოლი წიგნებისადმი, იმიტომ, რომ ისინი ემზადებიან მათ უფრო მტკიცედ იარონ სამშობლოს საგუშაგო ბილიკებზე. სადაც უნდა მდებარეობდეს ჩვენი საგუშაგოები — წყალუხვი ამურის ნაპირებზე, კავკასიის თოვლით დაფარულ მთებსა თუ ყარა-ყუმის ქვიშრობებში, რა განედებშიც უნდა კვალავდეს კურსს სასაზღვრო ხომალდი, — საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები მესაზღვრეთა შეიარაღებაშია, თუმცა ფორმალურად იგი არ ირიცხება იარაღის ცხრილში.

საბჭოთა მწერლებს მუდამ ხიბლავდა და ხიბლავს გმირობის ჰეროიკა. აი რატომ იყო, რომ მესაზღვრეებთან ერთად დაზვერვად მიდიოდნენ ნიკოლოზ ტიხონოვი და ვლადიმერ ლუგოვსკოი, კონსტანტინე სიმონოვი და სერგი დიკოვსკი, პეტრე პავლენკო და არკადი პერვენცევი, ევგენი რიაბჩიკოვი და პავლე ლუკნიცკი, მიხეილ სლონიმსკი და ლევ კანტოროვიჩი, ვლადიმერ ბელიაევი და ნიკოლოზ რომანოვი, ივანე გონჩარენკო და პავლო ზაგრებელნი, გრიგოლ აბაშიძე და ნოდარ დუმბაძე. მათი წიგნები დღისითაც და ღამითაც, ყოველნაირ ამინდსა და ყოველ განედზე საზღვრის მეომრებთან ერთად დაბიჯებენ, აწრთობენ მათ გულსა და შთააგონებენ გმირობისათვის.

ყველაზე პოპულარული ავტორებისა და წიგნების შესახებ ოლქის სასაზღვრო ნაწილების მესაზღვრეთა და ბიბლიოთეკის მუშაკთა გამოკითხვის დროს იმ წიგნებს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი აღიარება დაიმსახურეს, დაასახელეს ი. კანტოროვიჩის, ვ. ლუგოვსკის, ვ. ბელიაევის, პ. ფიოდოროვის, ა. ავდეენკოს, ა. პერვენცევის, ნ. დუმბაძის, ო. სმირნოვის წიგნები.

სასაზღვრო ჯარები ორმოცდათხუთმეტი წელია უცვლელად დგანან საგუშაგოზე. თავიანთი წვლილი შეიტანეს მესაზღვრეებმა დიდ სამამულო ომშიც. ისინი პირველნი აღუდგნენ წინ გერმანელ-ფაშისტთა ჯარების მოულოდნელ შემოტევას. მწვანექუდიანი მეომრები იჩენდნენ სასწაულებრივ მამაცობასა და სიმტკიცეს. დრო მიწასთან ასწორებს საფლავებს, მაგრამ ჩვენი ხსოვნიდან ვერ ამოშლის დასავლეთის საზღვრის დამცველთა სახელებს. არც ერთ საგუშაგოს არ დაუტოვებია საზღვარზე თავისი უბანი ისე, რომ გაფთრებული წინააღმდეგობა არ გაეწია თავით ფეხამდე შეიარაღებული მტრის ჭარბი ძალებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ თვითეული საგუშაგო იყო თავისებური ბრესტის ციხე-სიმაგრე. საგუშაგოთა ტრანშეებსა და ნანგრევებში ნაპოვნ შაშხანებსა და ტყვიამფრქვევებში, როგორც წესი, არც ერთი ვაზნა არა ყოფილა.

დიდ სამამულო ომში მესაზღვრეთა გმირული საქმენი მართლად ასახა ბევრმა საბჭოთა მწერალმა. საკმარისია დავასახელოთ ისეთი ნაწარმოებები, როგორიც არის ვლადიმერ ბელიაევის „საზღვარი ცეცხლში", პაველ ფიოდოროვის რომანი „აგვისტოს ტყეებში", ოლეგ სმირნოვის მოთხრობა „ივნისი", ვლადიმერ სერგეევის პოემა „მე — საზღვარი" და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებები.

ამ თვალსაზრისით დიდი ადგილი დაიკავა ოლეგ სმირნოვის მოთხრობამ „ივნისმა" — ვიზიარებთ ჩვენი კრიტიკოსების გამონათქვამებს იმის შესახებ, რომ როგორც ოდესღაც ომისადმი მიძღვნილი მრავალი წიგნიდან გამორჩეული იყო ე. კაზაკევიჩის მოთხრობა „ვარსკვლავი", ისე გამოირჩევა თავისი ოპტიმიზმით ო. სმირნოვის მოთხრობა „ივნისიც".

უფროს თაობას ახსოვს დიდი სამამულო ომის დასაწყისი... ამ პერიოდს ბევრი წიგნი მიეძღვნა ჩვენს ლიტერატურაში. ბევრი რამ ითქვა მათში მოვლენებისა და ადამიანების შესახებ, მათ შორის მესაზღვრეთა შესახებაც.

როცა მადლიერებას გამოვთქვამთ საბჭოთა მწერლებისადმი მესაზღვრეებზე ბევრი საინტერესო მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის, საზღვრის მეომრებთან მწერალთა რაზმის მუდმივი მჭიდრო კავშირისათვის, არ შეიძლება არ ითქვას, რომ საბჭოთა ლიტერატურაში არიან ვეტერანი მწერლები, რომლებიც შესისხლხორცნენ საზღვარს და მთლიანად მიუძღვნეს მას თავიანთი შემოქმედება. უკვე დასახელებულთა შორის უნდა აღინიშნონ ევგენი ვოევოდინი, ანატოლი ჩეხოვი, ანატოლი მარჩენკო, ალექსანდრე სერდიუკი, ლიდია ობუხოვა, სიმონ სორინი, ალექსანდრე როზენი, ლევ ლინკოვი, ვადიმ ინფანტიევი, იგორ ლაშკოვი, ვლადიმერ ხარიტონოვი და ბევრი სხვა.

საზღვართან მჭიდროდ დაკავშირებულ მწერალთა მიერ მესაზღვრეებზე დაწერილ ბევრ ახალ ნაწარმოებთან ერთად ამ ბოლო ხანს საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს იმათაც, ვისაც წინათ მესაზღვრეებზე არაფერი არ დაუწერიათ. ესენი არიან ვადიმ კოჟევნიკოვი, ივანე რახილო, ნიკოლოზ კამბულოვი, ბორის ზუბავინი, მაია განინა, ალექსი სმოლნიკოვი.

ინტერესით შეხვდნენ მკითხველები უკრაინელი მწერლის პავლე ზაგრებელნის ორ ახალ ნაწარმოებს მესაზღვრეთა შესახებ, რომლებშიც მთელი სიგრძე-სიგანით ნაჩვენებია სასაზღვრო სამსახურის, ადამიანთა სამსახურის სიძნელენი.

უკვე პოპულარული გახდა ქართველი მწერლის ნ. დუმბაძის ნაწარმოები „ნუ გეშინია, დედა". რამდენიმე თვეს დაჰყო მწერალმა სასაზღვრო საგუშაგოზე, აკვირდებოდა მომავალი წიგნის გმირებს.

მოწონების ღირსია ლენინგრადელ და ქართველ მწერალთა ინიციატივა შეექმნათ მოთხრობათა კოლექტიური კრებული საბჭოთა მესაზღვრეების გმირობისა და ვაჟკაცობის შესახებ. ასეთი კრებული გამოსაცემად მზადდება თბილისში. ოლქის მესაზღვრეებს ტრადიციული კავშირი აქვთ მწერლებთან. დანიშნულებას ამართლებს ლიტერატორთა შემოქმედებითი მივლინებები ჯარის ნაწილებში, სტაჟირება საოლქო გაზეთის რედაქციაში, ერთობლივი შეხვედრები, საქმიანი თათბირები.

მაგრამ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. რთული, ხშირად კი დაძაბული საქმიანობა საზღვარზე მოითხოვს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ სრულყოფას, პირადი შემადგენლობის, სასაზღვრო ჯარებში გაწვეული ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის გაძლიერებას.

მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, ჯარების პარტიულ ორგანიზაციებს იტაცებს საზღვრის მეომრებთან მწერალთა შემოქმედებითი ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების, მესაზღვრეების, მათი გმირობის შესახებ მხატვრული ნაწარმოებების შექმნის პრობლემები.

ახლა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, ჩვენი ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ახლა საზღვრის დაცვა — ეს არის ჯარების, ტექნიკური და სხვა ძალებისა და საშუალებების ურთიერთმოქმედების კომპლექსი. ჯარებს აქვთ სწრაფმავალი ხომალდები, ვერტმფრენები, თვითმფრინავები, რადიოლოკაციური ტექნიკა, კავშირგაბმულობის საშუალებანი და სხვ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი წლების ზოგიერთი ნაწარმოები მესაზღვრეთა შესახებ ჯერ კიდევ მოკლებულია სიღრმეს, ცხოვრებისეულ სიმართლეს, მესაზღვრის სულიერ სამყაროში ჩაწვდომას, საზღვარზე თანამედროვე სამსახურის თავისებურებათა გაგებას. ჩვენი მწერლებისაგან მოველით მხატვრულ ლიტერატურაში საზღვრის დღევანდელი ცხოვრების ღრმა და სიმართლით ასახვას.

პოლკოვნიკი
პ. ივანჩიშინი,
ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი.
(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ვახაძის მოხსენება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებაში ჩაბმულ სტუდენტთა მიმართ არსებული კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები ვ. ჯანჯღავა, ა. წივწივაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ა. კინწურაშვილი, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ი. მენგელია და სხვ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სწავლებაში გარკვეული მიღწევებია მოპოვებული. მუშა და სოფლის მშრომელი ახალგაზრდობისათვის შექმნილია პირობები წარმოებისაგან მოუწყვეტლივ განათლების მისაღებად. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ განათლებას იღებს 37.500 სტუდენტი, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 10.040.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმე. ამისათვის მათ აქვთ სათანადო სასწავლო გეგმები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათთვის ლექციებს კითხულობენ მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები. სწავლების უკეთ ორგანიზაციის მიზნით შექმნილია საკონსულტაციო პუნქტები, ფილიალები და სხვა.

ამასთან ერთად კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებაში ჩაბმულ სტუდენტთა მიმართ არსებული კანონმდებლობის დაცვის დარგში არის გარკვეული ნაკლოვანებები. მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 27 ივლისის № 720 დადგენილება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლებაში ჩაბმულ სტუდენტთა შეღავათების შესახებ.

უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებში მცირეა იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც მუშაობენ არჩეული სპეციალობითა და პროფილით. ამ მხრივ განსაკუთრებით არანორმალური მდგომარეობაა რესპუბლიკის უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში. 1972 წლის მონაცემებით პედინსტიტუტების საღამოს განყოფილებაზე 7.382 სტუდენტიდან პროფილით ან მონათესავე პროფილით მხოლოდ 548 მუშაობდა, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებებზე 10.081 სტუდენტიდან — 3.243.

წარმოებიდან მოუწყვეტლივ სწავლების განყოფილებებზე ჯერ კიდევ ირიცხებიან ისეთი სტუდენტები, რომლებიც საერთოდ წარმოებაში არ მუშაობენ. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ა. პუშკინის სახელობის და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტების საღამოს სწავლების 14.494 სტუდენტიდან მიმდინარე წლის მარტისათვის არასაპატიო მიზეზებით არ მუშაობს 958 სტუდენტი, ხოლო დაუსწრებელი სწავლების 10.587 სტუდენტიდან — 840.

ნაკლოვანებებია სტუდენტი-ახალგაზრდობის სახელმძღვანელოებით და დამხმარე ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეშიც.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები არ ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება წარმოება-დაწესებულებებში დაუსწრებელ სწავლებასთან დაკავშირებულ წესებს.

კომისიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ვახაძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

ტოკიო

ურთიერთობის განვითარებისათვის

18 აპრილი. (საქდესის კორ.). იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში იწყება ახალი ეტაპი. ასეთი დასკვნა გამოაქვთ იაპონიის პრესის ორგანოებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრს კ. ტანაკას შორის წერილების გაცვლას.

ამ დღეებში პრესა ბევრს წერს საბჭოთა კავშირში პრემიერ-მინისტრის კ. ტანაკას შესაძლო მოგზაურობის შესახებ, რაც, საერთო აზრით, უკვე მიმდინარე წელს უნდა მოხდეს. ამ მოგზაურობას მიიჩნევენ იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე ორ ქვეყანას შორის „უმაღლეს დონეზე უშუალო დიალოგის" დაწყებად.

ეს იქნება იაპონიის პრემიერ-მინისტრის პირველი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში 1956 წელს იაპონია-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის ნორმალიზაციის შემდეგ.

შეიძლება აღინიშნოს, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში იაპონიის თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, ყოფილმა მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრმა მ. აკაგიმ, რომ ამ ბოლო წლებში იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა განუხრელად ვითარდება ხელსაყრელი მიმართულებით. ლ. ი. ბრეჟნევსა და კ. ტანაკას შორის წერილების გაცვლა განსაზღვრავს მიმართულებას, რომლითაც უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა, და სახავს ორი ქვეყნის ხალხთა კონტაქტების გაძლიერებას, რასაც ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განვითარებისადმი გაზრდილ ინტერესს იაპონიაში მოწმობს შემდეგი ფაქტი. ორი თვის წინათ ტოკიოში შეიქმნა იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საპარლამენტო ასოციაცია, რომელიც პარლამენტის ორივე პალატის მთელი შემადგენლობის თითქმის 70 პროცენტს აერთიანებს. ასოციაციაში შედიან ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები.

იაპონია კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სსრ კავშირის უდიდესი სავაჭრო პარტნიორი გახდა. ცნობილმა იაპონელმა ეკონომისტმა პროფესორმა ი. ნონომურამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა ხელსაყრელია ორივე მხარისათვის და რომ საიმედოა საბჭოთა ბაზარი, რომლის გარანტი თვით სახელმწიფოა.

პრესაში აღნიშნულია ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის დიდი შესაძლებლობანი.

მოელიან, რომ მალე გაიმართება საბჭოთა კავშირ-იაპონიისა და იაპონია-საბჭოთა კავშირის საქმიანი თანამშრომლობის კომიტეტების მორიგი სხდომა, რომელზეც განიხილავენ შემდგომ ღონისძიებებს იმ უპირატესობათა რაციონალური გამოყენებისათვის, რასაც ორივე ქვეყანას აძლევენ მათი ეკონომიური ჯგუფები და გეოგრაფიული სიახლოვე.

იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ეკონომიურ ასპექტებთან ერთად აქაური პრესა აღნიშნავს აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში ორი ქვეყნის კავშირ-ურთიერთობის გაძლიერების დიდ მნიშვნელობას. გაზეთი „მაინიჩი" აღნიშნავს, რომ გაჩნდა ახალი ტენდენციები ორი ქვეყნის ურთიერთობაში ლ. ი. ბრეჟნევსა და კ. ტანაკას შორის წერილების გაცვლის შედეგად, და დასძენს, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია იაპონიასთან ურთიერთობის განვითარების საკითხში გამომდინარეობს მისი პოლიტიკიდან, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფას აზიაში.

მსოფლიო დღეს

მოძმე პარტიებში

„რუდე პრავოს" მოწინავე სტატია

პრაღა. ოთხი წლის წინათ — 1969 წლის 17 აპრილს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოხატა უმრავლესობის ნება, რომ ბოლო მოეღებოდა ყველაზე ღრმა პოლიტიკურ კრიზისს პარტიასა და საზოგადოებაში, წერს დღეს მოწინავე სტატიაში გაზეთი „რუდე პრავო". როცა ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ამხ. გ. ჰუსაკი, პატიოსანი კომუნისტები და უპარტიოები მიხვდნენ, რომ იწყება გადამწყვეტი გარდატეხა.

მემარჯვენეებისაგან გამიჯვნას, წერს შემდეგ გაზეთი, ჰქონდა ყოველმხრივი ხასიათი — პოლიტიკური, იდეოლოგიური, ორგანიზაციული. პარტია ამავე დროს თავიდან იცილებდა იმათაც, ვინც სახელი გაუტეხა მას, ზიანი მიაყენა თავისი უპრინციპობითა და მერყეობით. ამ ბრძოლასთან უშუალო კავშირით მიმდინარეობდა პარტიის საქმიანობის ლენინური, ინტერნაციონალისტური პრინციპების აღდგენა.

1969 წელს სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული პირველი ამოცანა იყო დაქვეითების შეჩერება, რათა ამის შემდეგ გვეფიქრა უძრაობის დაძლევაზე, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებებზე. 1970 წლის დამლევს უკვე შევეძლო დაგვედასტურებინა, რომ მიღწეულია ისეთი დონე, რომელზეც 1969 წლის აპრილში ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

გაწმენდილ და განმტკიცებულ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას, წერს გაზეთი, შეეძლო მოემზადებინა თავისი XIV ყრილობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობას უწოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის მტრებზე გამარჯვების ყრილობა, სოციალიზმის ტრიუმფის ყრილობა.

კრიზისიდან და ძვრებიდან პარტია, მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი გამარჯვებული გამოვიდნენ. საგულისხმო შედეგებმა, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ, საყოველთაო მაღალი შეფასება და აღიარება დაიმსახურეს. მაგრამ მიღწეულს საბოლოო შედეგად ვერ მივიჩნევთ. ჩვენ ხუთწლედის შესრულების შუა გზაზე ვართ. შეიძლება ითქვას, რომ მისი პირველი ნახევარი წარმატებული იყო. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის ამოცანის შესრულება — ეს ნიშნავს შევასრულოთ მთელი ხუთწლედი, შევიმუშაოთ და თანდათანობით გადავჭრათ არა მარტო უამრავი უკვე დასახული პრობლემა, არამედ პრობლემები, რომლებიც გზადაგზა დგება.

პარტიის ფართო კავშირ-ურთიერთობა ხალხის მასებთან, კავშირი სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ჩვენი მტკიცე ადგილი ვარშავის ხელშეკრულებასა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში, მზარდი ურთიერთობა ევროპის მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან — ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს განვამტკიცოთ შემოქმედებითი შრომისა და ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისათვის აუცილებელი სიმშვიდის ატმოსფერო, ამასთანავე რწმენა, ნდობა და ოპტიმიზმი. შეუპოვარი შრომის განვლილი ოთხი წლის გამოცდილება გვმატებს იმის რწმენას, რომ დასახულ მიზნებს მივაღწევთ, — ასკვნის გაზეთი.

არქეოლოგთა ნაპოვნი

ქვეყნის ეროვნული არქივის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოსავლეთ ნეპალში აღმოაჩინა ძველი ნეპალური კულტურის უიშვიათესი ძეგლები. ყველაზე მნიშვნელოვნად მათ შორის მიიჩნევენ მეტრ-ნახევრიან ქვის ქანდაკებას, რომელიც გამოსახავს ინდუსურ ღმერთს ვიშნუს. მეცნიერთა აზრით, ეს ქანდაკება სულ ცოტა 1500 წლისაა.

ექსპედიციის სხვა ნაპოვნთა შორის არის ინდუსური ქალღმერთის ქალის სკულპტურული გამოსახულებანი, რომლებიც 1200 და 600 წლისაა, ქვის ფილები წარწერებით და ძველი ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები.

„გაძარცვა ტელეფონით"

ასე უწოდეს ისრაელის გაზეთებმა ამასწინან დილ „ოპერაციას", რომელიც მძარცველთა ბანდამ წარმატებით ჩაატარა ტელ-ავივში და ერთ-ერთი ბანკის ფილიალიდან საკმაოდ დიდი თანხა გაიტაცა.

ბანდის წევრებმა მთლიანად გამოთიშეს ტელეფონის პირდაპირი ხაზი, რომელიც ფილიალს ბანკის ცენტრალურ მმართველობასთან აკავშირებდა და მის მაგივრად ჩართეს თავიანთი ტელეფონი. შემდეგ აპარატთან დატოვეს ბანდის ერთ-ერთი წევრი და ყალბი ქვითრით გამოცხადდნენ ფილიალში. ბანკის მოხელეებმა ტელეფონით დარეკეს ცენტრალურ მმართველობაში და იკითხეს ქვითარში აღნიშნული გვარის სახელზე დაბანდებული ფულის რაოდენობა. ხაზის მეორე ბოლოდან უპასუხეს: „ყველაფერი რიგზეა". მძარცველებმა მიიღეს ყალბ ქვითარში აღნიშნული თანხა და მშვიდად დატოვეს ბანკის ტერიტორია.

ვაშინგტონი

თავს იმართლებენ

18 აპრილი. (საქდესი). შეერთებული შტატები, ქვეყნის კანონმდებელთა და საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად აპირებს განაგრძოს კამბოჯის ტერიტორიის მასირებული დაბომბვა. ასეთია სენატის იურიდიული კომისიის ლტოლვილების საქმეთა ქვეკომისიაში ოფიციალური ვაშინგტონის ორი მაღალი თანამდებობის წარმომადგენლის — აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის საქმეთა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის ა. ჰამელისა და თავდაცვის მინისტრის თანაშემწის მოადგილის დ. დულონის გამოსვლების არსი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედების გამართლება კამბოჯაში სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა სცადა იმით, რომ საჭიროა მიღწეულ იქნეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. და „სანამ ასეთი შეთანხმება მიღწეული არ იქნება, განაცხადა ჰამელმა, ამერიკა განაგრძობს კამბოჯის დაბომბვას".

საბჭოთა ექიმები ტუნისში

18 აპრილი. (საქდესი). საბჭოთა კავშირ-ტუნისის მზარდი თანამშრომლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია სსრ კავშირიდან ჩამოსული ექიმების მუშაობა ტუნისში. ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად ამჟამად აქ წარმატებით მუშაობს 30-ზე მეტი საბჭოთა ექიმი, რომლებიც ემსახურებიან ქვეყნის 14 პროვინციიდან ათ პროვინციას. საბჭოთა მედიკები, რომლებიც მძიმე პირობებში მუშაობენ, უჩვენებენ თავდადებისა და საქმის ერთგულების ნიმუშებს.

მოკლედ

საფრანგეთი

„რენოს" საავტომობილო ქარხნების დირექციამ გადაწყვიტა განუსაზღვრელი ვადით დახუროს თავისი საწარმო ფლინში (პარიზის მახლობლად) ერთ-ერთი საამქროს მუშების მიერ გამოცხადებული გაფიცვის პასუხად. უმუშევარი დარჩა 20 ათასი მშრომელი.

იაპონია

ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტის ფლაგმანი კრეისერი „ოკლაჰომა-სიტი", რომელზეც იმყოფება ფლოტის სარდალი ადმირალი ჯ. ჰოლოუეი, ოთხი დღის ვიზიტით ჩავიდა იაპონიის სასებოს ნავსადგურში — ამერიკის დიდ სამხედრო-საზღვაო ბაზაში.

კენია

კენიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში დაახლოებით 10 ათას კვადრატულ კილომეტრზე აღმოჩენილია მიწისქვეშა წყლების მნიშვნელოვანი მარაგი. ეს დიდ შესაძლებლობებს სახავს გვალვიანი რაიონის ეკონომიური განვითარებისათვის, სადაც დაახლოებით 25 ათასი კაცი ცხოვრობს.

ანგოლა

ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის პატრიოტებმა მორიგი დამარცხება მიაყენეს პორტუგალიელ კოლონიზატორებს. მათ იერიში მიიტანეს კოლონიური ჯარების გარნიზონზე დაბა ნინდაში და მთლიანად გაანადგურეს ყაზარმები, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და სამხედრო საჭურველი.

იორდანია

ისრაელის ხელისუფლებმა იორდანიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კონფისკაცია უყვეს მიწის ნაკვეთებს, რომლებიც სოფელ ალ-ბაკას გლეხებს ეკუთვნოდათ. ეს სოფელი მდებარეობს ქალაქ რამალაჰის ახლოს. ისრაელებს განზრახული აქვთ ჩამორთმეული მიწები გამოიყენონ ისრაელთა სასამხედროებული დასახლებების მშენებლობისათვის. ამას იუწყება პალესტინის საინფორმაციო სააგენტო.

ეგვიპტე

ეგვიპტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქში — ალექსანდრიაში საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის შესახებ. ასიუტსა და აბუ-სიმბელში მიმდინარეობს აეროპორტების მშენებლობა. ამ მიზნებისათვის, აგრეთვე კაიროს საერთაშორისო აეროპორტის მოდერნიზაციისათვის, განაცხადა ეგვიპტის სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა აჰმედ ნუჰმა, გამოყოფილია 6 მილიონი ეგვიპტური გირვანქა.

კამერუნი

საბჭოთა ფილმის „შავი მზის" პრემიერა გაიმართა კამერუნის დედაქალაქში. დედაქალაქის უდიდესი კინოთეატრი „აბია" ხალხით იყო გაჭედილი. მაყურებლებმა დიდი ინტერესით ნახეს ფილმი, რომელიც აგვიწერს აფრიკის თავისუფლებისათვის გამოჩენილი მებრძოლის პატრის ლუმუმბას ცხოვრებას, რომლის როლს ასრულებს ცნობილი კამერუნელი მსახიობი ამბრუაზ მბია.

სანტიაგო

მეგობრული შეხვედრები

18 აპრილი. (საქდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრის გ. ა. ჟუკოვის მეთაურობით, რომელიც აქ ჩამოვიდა ჩილეს სოციალისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის დღესასწაულზე, შეხვდა ჩილეს სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას. ამ მეგობრული შეხვედრის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კარლოს ალტამირანო და პარტიის სხვა ხელმძღვანელები, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩილეს სოციალისტური პარტიის კონტაქტების შესახებ. ჩილეს სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს პარტიის საქმიანობაზე.

ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ დარბაზობა გამართა სოციალისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული უცხოეთის დელეგაციების პატივსაცემად.

ხელი მოაწერეს ოქმს

ანკარა

18 აპრილი. (საქდესი). დღეს ანკარაში ხელი მოაწერეს „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის ოქმს შავ ზღვაში საბჭოთა და თურქეთის ტერიტორიულ წყლებს შორის საზღვაო საზღვრის ხაზის განსაზღვრის შესახებ".

ოქმის ხელმოწერის ცერემონიას დაესწრნენ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ისმაილ ერეზი და სსრ კავშირის ელჩი თურქეთში ვ. ფ. გრუბიაკოვი.

ფაქტები

გვინეა (ბისაუ). პატრიოტები აძლიერებენ შეიარაღებულ ბრძოლას პორტუგალიელ კოლონიზატორთა ჯარებთან და ზედიზედ აღწევენ გამარჯვებას.

განმათავისუფლებელი ბრძოლა ამჟამად გამწვავდა, და პორტუგალიელთა სამხედრო ხროვა გამაგრებულ რაიონებსა და ქალაქებშიც კი ველარ გრძნობს თავს უშიშრად.

სურათზე: პატრიოტული არმიის მეზენიტეთა გათვლა.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

დელი

ერთობლივი განცხადება

18 აპრილი. (საქდესი). ინდოეთისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძონ ღონისძიებანი, „რათა შეანელონ დაძაბულობა, უზრუნველყონ სუბკონტინენტის სახელმწიფოების მეგობრული და ჰარმონიული ურთიერთობა და დაამყარონ მტკიცე მშვიდობა".

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ორი ქვეყნის მთავრობები მზად არიან ეძებონ საშუალებანი, რათა ჰუმანურად გადაჭრან პაკისტანთან ურთიერთობაში არსებული პრობლემები. ამ პრობლემათა გადაჭრის გზა ის არის, რომ „ერთსა და იმავე დროს დააბრუნონ სამშობლოში პაკისტანის სამხედრო ტყვეები და ინტერნირებული სამოქალაქო პირები (გარდა იმ პირებისა, რომლებიც ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სამართალში აძლევს დანაშაულთა ჩადენის ბრალდებით), ბენგალური ეროვნების პირნი, რომლებსაც ძალით აკავებენ პაკისტანში, და ბანგლადეშში მყოფი პაკისტანელები, რომლებმაც გამოთქვეს პაკისტანში წასვლის სურვილი.

მიწისძვრა კოსტა-რიკაში

კოსტა-რიკის მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში გვალვის შემდეგ ამ ქვეყანას თავს დაატყდა მეორე სტიქიური უბედურება. გუანაკასტის პროვინციის ქალაქ ტილარანის რაიონში მოხდა მიწისძვრა, რომლის მაქსიმალური ძალა 6,7 ბალს აღწევდა რიხტერის სკალით.

პირველი ძლიერი მიწისძვრის ბიძგები აღინიშნა შაბათ დილას. შემდეგ ბიძგები მეორდებოდა ყოველ 20-30 წუთში. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 30 კაცი, რამდენიმე ათეული ადამიანი დაშავდა. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს ნაკლებად დასახლებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონში.

„მაოიზმი—მითი და რეალობა"

შვედი ჟურნალისტი მაოიზმის შესახებ

სტოკჰოლმი, 18 აპრილი. (საქდესი). აქ გამოვიდა წიგნი პეკინის ახლანდელი ხელმძღვანელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. წიგნის სათაურია „მაოიზმი — მითი და რეალობა".

უკვე 60-იანი წლების დამდეგს შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ მაო ძე-დუნისა და მისი უახლოესი თანამზრახველების მიერ დაწყებულ ავანტიურისტულ პოლიტიკას გარდუვალად მოჰყვებოდა მძიმე შედეგები სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისათვის, მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, სამშვიდობო ბრძოლისათვის და, არანაკლებ, თვით ჩინელი ხალხისათვის, თუ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ჯანსაღი ძალები ვერ შეცვლიდნენ მოვლენათა მსვლელობას, წერს ცნობილი შვედი ჟურნალისტი კარლ სტაფი ეს-ეს არის გამოსულ წიგნში „მაოიზმი — მითი და რეალობა".

წიგნის ავტორი ეხება მაოისტური ხელმძღვანელობის ეკონომიურ პოლიტიკას, რომელმაც მიიღო სახელწოდება „დიდი ნახტომი" და „სახალხო კომუნები", და აღნიშნავს, რომ „დიდი ნახტომი" ნიშნავდა გაბედული გეგმების წამოყენებას განხორციელების რეალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად. თავისუფალი განაწილებით „კომუნების" შექმნის იდეა „სრულიად გულუბრყვილო, ანტილენინური" იყო.

„დიდმა ნახტომმა" და „სახალხო კომუნებმა", რომლებსაც ჩინელი ხალხისათვის „ათასობით წლის ბედნიერება უნდა მოეტანათ, რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ", მოუტანა საპირისპირო — ცხოვრების დონის კატასტროფული დაქვეითება, ქაოსი სოფლის მეურნეობაში.

მაო ძე-დუნს, ნათქვამია შემდეგ წიგნში, არ ეყო პირადი ვაჟკაცობა, რომ თავისი ხალხის წინაშე ეღიარებინა საშინელი შეცდომები. ამის ნაცვლად იგი ეძებდა სხვა გამოსავალს. ჩინეთის საგარეო პოლიტიკის უეცარი და მკვეთრი შეცვლა, შემობრუნება რისკთან დაკავშირებულ სასაზღვრო კონფლიქტებისა და ანტისაბჭოურობისაკენ მას შემდეგ, რაც ჩაიშალა „დიდი ნახტომის" პოლიტიკა, საეჭვოა შემთხვევითად მივიჩნიოთ. ამ ცვლილებათა მიზეზები უნდა ვეძებოთ შოვინიზმის გამოვლინებებსა და მაოს მისწრაფებებში სოციალისტური თანამეგობრობის სათავეში დაეყენებინა ჩინეთი.

მაომ და მისმა მომხრეებმა, აღნიშნავს შემდეგ ავტორი, აშკარად გაილაშქრეს იმ გზის წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ თათბირებზე შეიმუშავეს კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, რომლებმაც განაცხადეს, ომის თავიდან აცილება შესაძლებელიაო. მაოს თეორია ატომური ომის გარდაუვალობის შესახებ, ნათქვამია წიგნში, იწვევს მშვიდობისმოყვარე ძალების პასიურობასა და უმოქმედობას. ასეთი თეორია, უეჭველია, ხელსაყრელია ომის გამჩაღებლებისათვის.

ავტორი წერს, რომ „კულტურული რევოლუციის" პერიოდში მაო ძე-დუნის მახვილი მიმართული იყო პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ძირითადი დაბრკოლება გახდა მისი პირადი გეგმების განხორციელების გზაზე. ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობა, ხაზგასმულია წიგნში, სინამდვილეში ნიშნავდა „ახალი პარტიის შექმნას". ყრილობაზე სრულიად ცხადად გამოვლინდა, რომ ახალი პარტიის მთავარი ამოცანა და მისი მიზანი — ეს არის ანტისაბჭოურობა და ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სტაფს მოჰყავს სუნ ცინ-ლინის, რევოლუციონერ-დემოკრატის სუნ იატ-სენის ქვრივის გამონათქვამი, რომ „დღევანდელ მსოფლიოში უბრალოდ შეუძლებელია იყო ანტისაბჭოელი, თუ შენი სულის ნაწილი არ მიჰყიდე იმპერიალიზმს". ეს, აღნიშნულია წიგნში, ნათქვამია საერთოდ ანტისაბჭოურობის შესახებ, მაგრამ დღეს ეს სიტყვები სავსებით შეეხება მაო ძე-დუნისა და მისი მომხრეების პოლიტიკას.

ბელგრადი

მოლაპარაკება გრძელდება

18 აპრილი. (საქდესი). დღეს აქ გაგრძელდა მოლაპარაკება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარეს ჯ. ბიედიჩსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ვ. ბრანდტს შორის. განიხილეს იუგოსლავია-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის საკითხები და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. მოლაპარაკების დროს ერთმანეთს გაუზიარეს აზრი უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე და ევროპის თანამედროვე მდგომარეობაზე.

ხანძარი საწყობში

ბონი. ძლიერი ხანძარი მოხდა ორშაბათ საღამოს იაპონიის „ტოიტას" კონცერნის საწყობში, რომელიც რატინგენში, დიუსელდორფის მახლობლად მდებარეობს. ზარალი სამ მილიონ მარკას შეადგენს.

გამოიცა თბილისში

მნიშვნელოვანი მოვლენა

გამოჩენილ ჩეხ ქართველოლოგს იარომირ იედლიჩკას ქართული საზოგადოება იცნობს უპირატესად როგორც მთარგმნელს, რომელმაც ჩეხურ ენაზე, სხვა მრავალ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად, ამეტყველა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი" და დ. გურამიშვილის „დავითიანი". იყო რა ფართო განათლების მეცნიერი, იედლიჩკას არ შეეძლო გვერდი აევლო ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ქართული ენის კვლევისთვის, და უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში მისი მოღვაწეობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც მას ეკუთვნის მთელი რიგი ნაშრომები, რომლებიც ეხებიან ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ქართული ენის საკითხებს.

თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში აწ განსვენებულმა მეცნიერმა გადაწყვიტა შეექმნა ჩეხური ენის გრამატიკა ქართველებისთვის. ჩანაფიქრი სისრულეში მოყვანილი, რაშიაც ჩეხ ქართველოლოგს დიდი დახმარება გაუწია ჩეხური და ქართული ენების შესანიშნავმა მცოდნემ ელ. [illegible]ისთავმა. ამ ორი მეცნიერის შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა ჩეხური ენის გრამატიკა, რომელიც ამას წინათ გამოსცა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ. მაგრამ ელ. [illegible]ისთვის ღვაწლი ამ წიგნის გამოსაცემად მომზადების საქმეში მხოლოდ ამით არ ამოიწურება. იედლიჩკამ სახელმძღვანელო დაწერა ჩეხურ ენაზე, მისი გადმოქართულება კი თავს იდო ელ. [illegible]ისთავმა და უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად გაართვა თავი ამ რთულ საქმეს. გარდა ამისა, მანვე მოამზადა ტექსტი გამოსაცემად, რასაც მეტად დიდი შრომა დასჭირდა.

ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ამაგი, რომელიც გასწია ამ წიგნს მისმა რედაქტორმა გ. ახვლედიანმა. სახელმძღვანელოს სპეციფიკური ხასიათი და ის, რომ ჩეხური გრამატიკა ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება, გ. ახვლედიანს, როგორც რედაქტორს, დიდი სიძნელეების წინაშე აყენებდა. მაგრამ მან არ დაიშურა ძალა და ენერგია, რათა ჩეხური ენით დაინტერესებულ ქართველ მკითხველს მიეღო პირველხარისხოვანი სახელმძღვანელო.



ი. იედლიჩკას ჩეხური ენის გრამატიკა ანუ „ჩეხური ენა", როგორც ამ წიგნს თვითონ ავტორი უწოდებს, წარმოადგენს ლექციების ციკლს (სულ 30 ლექცია), დართული აქვს შესავალი და ლექსიკონი ჩეხურ-ქართულ და ქართულ-ჩეხურ ენებზე.

შესავალში მოკლედ არის განხილული ჩეხური ენის ისტორია და ჩეხური ენის ადგილი სლავურ ენათა შორის. გრამატიკის ძირითადი ნაწილია ის 30 ლექცია, სადაც განხილულია ჩეხური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები. სახელმძღვანელოში დაწვრილებით არის გაანალიზებული ჩეხური ფონეტიკური სისტემა, ნაჩვენებია ის სპეციფიკა, რომელიც ახასიათებს ჩეხურს ქართულთან შედარებით. ასევე ყოველმხრივ დახასიათებულია ჩეხურის მორფოლოგია, განხილულია ბრუნებისა და უღლების ტიპები. სინტაქსი, მართალია, შედარებით მკრთალად არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელო არ გვაძლევდეს საკმარის ინფორმაციას ჩეხური ენის სინტაქსის შესახებ.

ლექციები შედგენილია გარკვეული პრინციპის მიხედვით: ჯერ მოცემულია ჩეხური ტექსტი, შემდეგ ტექსტში წარმოდგენილი უცნობი სიტყვების ქართული თარგმანი, შემდეგ — გრამატიკული ანალიზი და, ბოლოს, დართული აქვს სავარჯიშო. ჩეხურის ყოველ გრამატიკულ ფორმას დაძებნილი აქვს სათანადო ქართული შესატყვისი. ამიტომ ი. იედლიჩკას „ჩეხური ენა" არ არის მხოლოდ ჩეხურის აღწერა, იგი ამავე დროს ჩეხურისა და ქართულის შედარებითი ანუ პარალელური გრამატიკაცაა, რაც ამ სახელმძღვანელოს უდავოდ დიდი ღირსებაა.

წიგნში, რა თქმა უნდა, საკმაოდ არის მოცემული ჩეხური ტექსტები, მათ შორის ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან", მაგრამ, ჩვენი აზრით, საჭირო იყო წიგნს ერთვოდეს ნაწყვეტები ჩეხური კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურიდან, რაც უფრო გაამდიდრებდა მას და უფრო საინტერესოს გახდიდა მკითხველისათვის.

ი. იედლიჩკას ჩეხური ენის გრამატიკის ქართულ ენაზე გამოსვლა უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. აქამდე ჩვენ არ გვქონდა ქართულ ენაზე არათუ ჩეხურის გრამატიკა, არამედ ჩეხურ-ქართული ლექსიკონიც კი. ორივე ეს ხარვეზი ერთბაშად იქნა შევსებული ი. იედლიჩკას „ჩეხური ენის" გამოცემით, რითაც ამიერიდან ჩეხური ენა მისაწვდომი გახდება ამ ენით დაინტერესებული ყველა ქართველისათვის.

გ. ნებიერიძე,
დოცენტი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — იარომირ იედლიჩკა; ქვემოთ — ი. იედლიჩკას ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის.

ვისაც უყვარს რუსული ენა

მიმდინარე წლის სექტემბერში ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გაიმართება რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეორე საერთაშორისო კონგრესი: განხილულ იქნება მნიშვნელოვანი საკითხი: „რუსული ენის, როგორც უცხო ენის, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო თვალსაჩინოებათა შექმნის თეორია და პრაქტიკა". როგორც ვარაუდობენ, კონგრესში მონაწილეობას მიიღებენ რუსული ენის სახელმძღვანელოთა ავტორები, მეთოდისტები, ლინგვისტები, ლიტერატურათმცოდნეები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი 35-40 ქვეყნიდან.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მსოფლიოში რუსული ენის შესწავლის ინტერესი არნახულად გაიზარდა. ბევრ ქვეყანაში საგრძნობლად იმატა რუსული ენის მასწავლებელთა, სპეციალისტ-მეთოდისტთა, გამომცემლობის მუშაკთა, რუსული ენის სწავლების ორგანიზატორთა რიცხვმა. მათი საქმიანობა ერთი მიმართულებით რომ განვითარდეს, ევროპის, აზიისა და ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების ინიციატივით 1967 წელს პარიზში შეიქმნა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია. მასში შედიან 31 ქვეყნის რუსისტთა ნაციონალური გაერთიანებები, სლავისტიკის ინსტიტუტები, რუსული ენის კათედრები და განყოფილებები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ ენის სწავლებასა და შესწავლასთან.

ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიოში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და შესწავლის გავრცელებას, განამტკიცოს კავშირი, სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა ყველა ქვეყნის რუსისტთა შორის. ასოციაცია მართავს საერთაშორისო კონფერენციებს, სიმპოზიუმებს და სემინარებს, აწარმოებს სასწავლო და მეთოდური მასალების გაცვლა-გამოცვლას.

გენერალური ასამბლეა, რომელიც ასოციაციის უმაღლესი ორგანოა, სამი წლის ვადით ირჩევს 25 კაცისაგან შემდგარ აღმასრულებელ საბჭოს (პრეზიდენტის, 6 ვიცე-პრეზიდენტის, გენერალური მდივნისა და ხაზინადრის ჩათვლით). 1970 წელს პრეზიდენტად აირჩიეს აკადემიკოსი მ. ბ. ხრაპჩენკო, გენერალურ მდივნად — პროფესორი ვ. გ. კოსტომაროვი (სსრკ).

ასოციაციამ კავშირი დაამყარა იუნესკოსთან, მონათესავე საერთაშორისო გაერთიანებებთან, აგრეთვე 73 ქვეყნის სამი ათასზე მეტ დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან.

ოცდახუთზე მეტი სამეცნიერო და ორგანიზაციული ღონისძიება განახორციელეს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ნაციონალურმა გაერთიანებებმა, ამასთან ხელი შეუწყვეს ახალი გაერთიანებების შექმნას იქ, სადაც ისინი არ იყო. მაგალითად, 1969 წლის იანვარში ფინეთში შეიქმნა რუსული ენის მასწავლებელთა ნაციონალური გაერთიანება. ანალოგიური საზოგადოებებია შექმნილი ბელგიაში, მონღოლეთში, შვეიცარიაში, შვეციაში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებში. რუსისტთა საზოგადოება მეტად პოპულარულია ბულგარეთში, რომელიც ხუთი ათასზე მეტ წევრს აერთიანებს. დიდი ბრიტანეთის რუსისტების ნაციონალური გაერთიანება, რომელსაც ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი ვ. ჯეიმსი ხელმძღვანელობს, 14 წლის მანძილზე 75 მონაწილიდან 1972 წელს 800 მონაწილემდე გაიზარდა.

შარშან ათი წლის იუბილე აღნიშნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გიმნაზიებსა და უმაღლეს სკოლებში რუსული ენის მასწავლებელთა კავშირმა. ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსული ენის მასწავლებელთა ჯგუფში შედიან 30-ზე მეტი შტატის რუსისტები.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ენის სწავლების საკითხისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმს, რომელიც ლენინგრადში 1971 წელს გაიმართა. 31 ქვეყნის 200 რუსისტმა ბჭობა გამართა იმის შესახებ, თუ უკეთესად როგორ შეისწავლონ სსრ კავშირის გეოგრაფია, ისტორია, ეკონომიკა, სახელმწიფოებრივი წყობა საზღვარგარეთ რუსული ენის სწავლების დროს. რუსული ენის სწავლების აქტუალურ პრობლემებზე გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმები აზიის, აფრიკის, შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, მოეწყო საერთაშორისო შეხვედრები ვენაში, ველიკო ტირნოვში (ბულგარეთი), ჩიკაგოში, ჰელსინკში, კიოლნში, ოლომოუცში (ჩსსრ) და სხვა ქალაქებში).

1972 წლის ღირსსახსოვარი მოვლენა იყო მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადა რუსულ ენაში. მოსკოვში იყვნენ 16 ქვეყნის ეროვნულ კონკურსებსა და ოლიმპიადებში გამარჯვებული უფროსკლასელი მოსწავლეები. მათ თან წაიღეს 20 ოქროს მედალი, აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები.

სისტემატურ მუშაობას ეწევიან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული რუსული ენის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის მეთოდისტთა კოლექტივები. საზღვარგარეთის სკოლებში, უნივერსიტეტებში, წრეებში და კურსებზე ტიპური პროგრამების პროექტების შედგენისათვის შექმნა ფილმ-მოთხრობების სერია საბჭოთა კავშირზე: „ძველი რუსეთის ძეგლები", „სსრ კავშირის შექმნა", „მეცნიერება სსრ კავშირში" და სხვ. საინტერესოა საბჭოთა და საზღვარგარეთის კოლექტივების მიერ სახელმძღვანელოების ერთობლივად შექმნის გამოცდილება. უკვე არსებობს წიგნები ფინეთის სკოლებისათვის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გიმნაზიებისათვის, შვეციის, დიდი ბრიტანეთის უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ასოციაცია გამოსცემს თავის ჟურნალს „რუსული ენა საზღვარგარეთ". ჟურნალს აქვს ლინგვისტური, სამეცნიერო, კრიტიკული და მეთოდური განყოფილებები, რუსული ენის კურსები. აქ იბეჭდება მასალები სამეცნიერო თემებზე, საკითხავი ტექსტები, საბავშვო გვერდები, ქრონიკული შენიშვნები.

ვ. ლიხუნოვი,
რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის სამდივნოს უფროსი. (ახალი ამბების სააგენტო).

მეგობრული შეხვედრები

ბელგიის ქრისტიანული პროფკავშირების კონფედერაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ კონფედერაციის თავმჯდომარე ჟოზეფ ჰაუტაისი, 18 აპრილს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. აქ სტუმრები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ლ. ზ. აბაშიძეს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. ა. კვაჭაძეს.

მეგობრულ საუბარში ჟ. ჰაუტაისმა ილაპარაკა თავის შთაბეჭდილებებზე. ძალიან კმაყოფილი ვართ, თქვა მან, საქართველოს პროფკავშირულ მოღვაწეებთან კონტაქტებით. ჩვენ უნდა უნდა გავიცნოთ, უფრო ხშირად უნდა შევხვდეთ, გავუზიაროთ ხოლმე ერთმანეთს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება.

დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, თუ რა არსებით როლს ასრულებენ საბჭოთა პროფკავშირები ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში, საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის მონაწილეების ერთიანობის განმტკიცებაში.

საუბარში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ს. მიქელაძე, საკავშირო პროფსაბჭოს საერთაშორისო განყოფილების გამგე ბ. ა. ავერიანოვი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ო. ს. ცანავა.

დელეგაციის წევრები, რომლებიც განაგრძობენ თბილისის გაცნობას, 18 აპრილს იყვნენ ქალაქის მთელ რიგ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. (საქინფორმი).

დოლი წარმატებით დამთავრდა

მარნეულის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. მიღებულია 2.125 ბატკანი.

გამოცდილი მეცხვარეების მხარდამხარ კეთილსინდისიერად შრომობენ ახალგაზრდები. ფერმის გამგეს კომუნისტ მიხო ბაბაკიშვილს ცხვარში მუშაობის 20 წლის სტაჟი აქვს. რაისაბჭოს დეპუტატი, პარტიის რაიონული კომიტეტის წევრი სიამოვნებით უზიარებს შეძენილ ცოდნას იმათ, ვინც ფერმაში მუშაობა ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო.

სურათზე: მიხო ბაბაკიშვილი ახალგაზრდა მეცხვარე კომკავშირელ ელმან ასკეროვთან ერთად საძოვარზე.

ბ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს მთა-ბარში

მეშახტეთა მეგობრობის სტენდი

ტყიბული. (საქ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივს საქმიანი, ძმური ურთიერთობა აქვს დამყარებული ჩვენი ქვეყნის მრავალი საბადოს თანამოსაქმეებთან.

მეშახტეთა მეგობრობის განმტკიცებასა და მშრომელთა ინტერნაციონალურ ძმობას ასახავს აქ ახლად მოწყობილი მეგობრობის სტენდი. სტენდის ცენტრშია დონეცკი და მისი ადამიანები. დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს სტახანოვური მოძრაობის ინიციატორის, ლეგენდარული მეშახტის ალექსი სტახანოვის პორტრეტი. ეს ღვაწლმოსილი ადამიანი ახლა დონეცკის ერთ-ერთი შახტის მთავარი ინჟინრის თანაშემწედ მუშაობს. აქვე წარმოდგენილი არიან ორჯონიკიძელთა მეგობრები, უკრაინელი მეშახტეები უბნის უფროსი ლ. პეტროვსკი, წმენდითი სანგრევის მუშა ი. ლებედევი, ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ი. კუზნარევი და ჩქარი სწული გაყვანის ოსტატი ლ. რემნევი.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში დამეგობრდნენ ორი სამთო საწარმო — კუზნეცკის ქვანახშირის კომბინატის ორჯონიკიძის სახელობისა და ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტები. სტენდის ერთ-ერთი განყოფილება ამ საწარმოთა ძმურ ურთიერთობას ასახავს. სტენდზე დიდი ადგილი უჭირავს დონეცკის ვოროშილოვგრადსკაიას შახტის, როსტოვისა და ვოროშილოვგრადის ქვანახშირის კომბინატის ნოვატორების, საქვეყნოდ ცნობილი მეშახტეების პორტრეტებს.

ამ მეშახტეებს მხარს უმშვენებენ ქართველი სამთოელები, ქვანახშირის მონგრევის უბადლო ოსტატები ნ. თევდორაძე, კ. რობაქიძე, ი. მესხი, გ. ქათამაძე, ა. დარსაველიძე და ზ. ვითრგაძე ფოტოსურათები.

მეგობრობის სტენდი მრავალმა მეშახტემ დაათვალიერა.

ფეხბურთი

ორი ნაკრების მატჩი

გუშინ კიევში გაიმართა სსრ კავშირისა (უფროსი მწვრთნელი ევგენი გორიანსკი) და რუმინეთის (უფროსი მწვრთნელი ვალენტინ სტანესკუ) ნაკრებ გუნდების ამხანაგური მატჩი.

შეხვედრას ორივე გუნდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ამ მატჩს კიდევ ერთხელ უნდა გამოერკვია ნაკრებთა ძირითადი შემადგენლობანი, მათი საბრძოლო ბირთვი. საქმე ის არის, რომ მალე ორივე ნაკრებს ელის მსოფლიოს ჩემპიონატის ორ-ორი შერჩევითი მატჩი.

თამაში მიმდინარეობდა საბჭოთა ნაკრების აშკარა უპირატესობით, რომელმაც მოიგო მატჩი ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ონიშჩენკომ (მე-17 წუთზე) და მუნტიანმა (68-ე წუთზე).

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ოლშანსკი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, ანდრიასიანი (ფომენკო), მუნტიანი, კოლოტოვი, ვასენინი (ნიკონოვი), ონიშჩენკო, ბლოხინი.

ასეთივე ანგარიშით 2:0 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ დამთავრდა ამ ორი ქვეყნის მეორე ნაკრებთა მატჩიც, რომელიც გაიმართა გუშინვე ოდესაში.

კრივი

სახელის რინგზე

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო საქართველოს მორიგი ჩემპიონატი კრივში. გაიმართა პირველი შეხვედრები ექვს წონით კატეგორიაში. მსუბუქში — ხობელმა ლ. ნარაზიამ აშკარა უპირატესობით პირველსავე რაუნდში მოუგო ცხინვალელ ნ. პეტროვს, საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა, თბილისელმა ლ. ტატუანიძემ ასევე მოუგო ბათუმელ გ. მელქონიანს; პირველ საშუალოში — თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა დ. ჟორჟოლიანმა მოუგო ქუთაისელ ა. მამარდაშვილს; ნახევრადმძიმეში — სპორტის ოსტატმა ა. კრივენკომ (თბილისი) დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში აჯობა თანაქალაქელ ა. გამყრელიძეს; მძიმეში — თბილისელ ოსტატობის კანდიდატ ნ. გურიტიშვილს დამარცხება ჩაეთვალა სპორტის ოსტატ ა. ნიკოლაძესთან (ქუთაისი) გამოუცხადებლობის გამო.

სპორტი

ჭადრაკი

შეჯიბრების მიწურულში

„დინამოს“ საკავშირო პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის დასასრულს მიუახლოვდა.

11 ტურის შემდეგ რვა-რვა ქულა მოაგროვა ორმა მოსკოველმა მოჭადრაკემ — საერთაშორისო ოსტატმა იგნატიევამ და ოსტატმა ტიტორენკომ. ამასთან იგნატიევას ორი პარტია დარჩა სათამაშო, ტიტორენკოს კი — ერთი, ასე, რომ ჩემპიონის წოდების მოპოვების უკეთესი შესაძლებლობა ვეტერან იგნატიევას აქვს.

ჩიბურდანიძემ მეთერთმეტე ტურში წააგო იგნატიევასთან და ახლა მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს ოსტატობის კანდიდატ ლ. ტროსთან (კიევი). მათ შვიდ-შვიდი ქულა აქვთ 10 შესაძლებლიდან. ჩიბურდანიძის გარდა, დანარჩენმა თბილისელმა მოჭადრაკეებმა უკვე დაკარგეს საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის შესაძლებლობა.

ღია ტურნირებზე

ლას-პალმასის დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე 3 ტური რჩება. პირველობისათვის ახლა მონაწილეთა დიდი ჯგუფი იბრძვის. 12 ტურის შემდეგ 7,5 ქულა აქვთ გროსმაისტერებს შტეინს (საბჭოთა კავშირი), ანდერსონს (შვეცია) და საერთაშორისო ოსტატ რიბლის (უნგრეთი), 7 ქულით მეოთხე ადგილზეა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პეტროსიანი (საბჭოთა კავშირი).

გრძელდება ვიდმარის მემორიალი, რომლის მონაწილეებმა ლიუბლიანიდან პორტოროჟში გადაინაცვლეს. 10 ტურის შემდეგ ლიდერობას კვლავ ინარჩუნებს უნგრელი გროსმაისტერი პორტიში — 7,5 ქულა. სუეტინს 6 ქულა აქვს, რაზუვაევს — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია.

რამდენიმე სტრიქონით

● ჩოგბურთი. ტაშკენტში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირი. ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მ. კროშინა და ე. გრანატუროვა. გაიმარჯვა მ. კროშინამ — 6:4, 6:2; ვაჟთა ფინალი შ. ტერპიშჩევსა და ა. ვოლკოვს შორის დამთავრდა პირველის გამარჯვებით — 7:5, 6:3, 6:1; ქალთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ა. ერემეევა და თ. ლაგოისკაია, რომლებმაც დაამარცხეს ე. ბირიუკოვა და მ. კროშინა — 4:6, 6:3, 6:3; ვაჟთა შორის გაიმარჯვა ა. ბოგომოლოვ-ე. პოზდნიაკოვის წყვილმა. მათ დაამარცხეს გამოცდილი ა. ვოლკოვი და შ. ტერპიშჩევი.

● მშვილდოსნობა. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ დედაქალაქის პირველობაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია 54-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა მარინა გოდერძიშვილმა („ლოკომოტივი“). 14 წლის მოსწავლემ, რომელსაც ავარჯიშებს ჯ. წეროძე, პირველი ადგილები დაიკავა 60 და 50 მეტრზე სროლაში და საერთო ჯამში 1080 ქულა მოაგროვა. ახალბედა სპორტსმენის ეს შედეგი მთელი 20 ქულით აღემატება სპორტის ოსტატის ნორმატივს.

ანტიკური ხანა სკოლის მუზეუმში

ჭიათურა. (საქ. კორ.). ქართული მარგანეცის ქალაქის მესამე საშუალო სკოლაში ათი წელია არსებობს სასკოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც ათასზე მეტი საინტერესო ექსპონატია გამოფენილი.

სამოცდაათი მოსწავლეა გაერთიანებული სკოლის მხარეთმცოდნეობის წრეში, რომელსაც ამ საქმის ენთუზიასტი, პირველთანრიგოსანი ალპინისტი გ. სამხარაძე ხელმძღვანელობს.

სასკოლო მუზეუმისათვის ნორჩ მხარეთმცოდნეებს შეუგროვებიათ უძველესი ხანის ქვის, ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღები, კერამიკის ნიმუშები, საოჯახო ნივთები, უძველესი მონეტები და სხვა ექსპონატები.

მუზეუმის დამთვალიერებელთა ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ბრინჯაოს ხელი, რომელსაც ვაშლი უჭირავს. სპეციალისტების აზრით იგი განეკუთვნება ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნეს. მას „ადამის ხელი“ შეარქვეს.

ფრიად საყურადღებოა სოფელ ზრეითის — შამორევას ციხის ნანგრევების მიდამოებში მოსწავლე თამარ შიხელიძის მიერ ნაპოვნი კერამიკისაგან დამზადებული ქალის მინიატურული ქანდაკების ფრაგმენტი. მას ანტიკურ ხანას აკუთვნებენ.

• • •

სურათებზე: ქალის ქანდაკების ფრაგმენტი და „ადამის ხელი“.

კინო

ნერგები

ეკრანზეა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი ნაწარმოები

დღეს უამრავ ფილმს იღებენ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არც გულს არგია და არც სულს ახარებს. თანამედროვეობას აღარ აღელვებს ისეთი ფილმები, სადაც ნათლად არ არის გამოკვეთილი ჩვენი ეპოქის სულისკვეთება, ჩვენი დროის ზრახვები, მისი დამამკვიდრებელი მოქალაქეობრივი პათოსი.

ამჯერად მაყურებლის ყურადღება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გამოშვებული ახალი სურათის „ნერგების“ ავკარგიანობაზე მინდა შევაჩერო (სცენარის ავტორი — ს. ჟღენტი, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, მთავარი ოპერატორი — ა. მაისურაძე, მხატვრები — ი. მეძმარიაშვილი, ტ. კრიმკოვსკაია, კომპოზიტორი — ნ. გაბუნია). ამ ფილმის სიუჟეტი მოგვითხრობს ერთი მოუსვენარი ბერიკაცის და კიდევ უფრო მოუსვენარი მისი შვილიშვილის მოგზაურობაზე — ხეჭეჭურა მსხლის ნერგებისათვის.

ხალხის წიაღიდან აღმოცენებული ეს პატარა, მაგრამ უაღრესად ცხოვრებისეული ამბავი, კაცთმოყვარეობის მგზნებარე სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ამ ამბავს ალამაზებს ის ლირიკული მღელვარებაც, რომელიც ფილმის მთავარი გმირის მაღალი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარეობს. ყოველივე ამას ის ვითარებაც ამშვენებს, რომ ფილმში ნათლად ჩანს იმ რეჟისორის სახე, რომელმაც საქვეყნოდ ასახელა ქართული კინემატოგრაფია და რომლის ყოველი ახალი ფილმი საყურებლადაც სასიამოვნოა, გულსაც არგია და სულს ახალისებს.

ფილმში მოთხრობილი ამბავი თითქოს მარტივი და უბრალოა, მაგრამ მეტად ამაღელვებელი და ჩამაფიქრებელი. მთავრდება შინაარსიანი ფილმი და დარბაზში რჩება ფიქრებით აფორიაქებული მაყურებელი: რომ მარტო დღევანდელი დღით და მხოლოდ შენი ოჯახის კეთილდღეობით როდი განისაზღვრება ადამიანის ცხოვრება, რომ მომავალზეც, შთამომავლობაზეც გმართებს ადამიანს ფიქრი და ზრუნვა.

ეს აზრი მივიდა მაყურებლამდე. ფილმმა გაიმარჯვა. ეკრანიდან გამოსხივებულმა აზრმა და ემოციამ გაამხნევა დარბაზი... ასეთი ფილმის შექმნაში, რეჟისორს, გარდა ნათელი ნიჭისა და ფაქიზი გემოვნებისა, ჭეშმარიტი მოქალაქე-ხელოვანის შემოქმედებითი სინდისი უნათებდა გზას.

უდავოა, რომ კარგი ფილმის შესაქმნელად კარგი ლიტერატურული ნაწარმოები, კარგი სცენარია საჭირო. მაგრამ დღეს თუ ამ კარგი სცენარის მიღმა ნაწარმოებში არა ძევს ღირსშესანიშნავი პრობლემა, და ამ პრობლემის მიზანდასახულობა მკაფიოდ, ნათლად არ არის გამოვლინებული, ასეთი სცენარი ვერ გადაიქცევა თანამედროვე რეჟისორის შთაგონების წყაროდ, ვერ ააფორიაქებს, ვერ აღაგზნებს მის სულსა და გულს.

დრამატურგ სულიკო ჟღენტის და რეზო ჩხეიძის შემოქმედებით კონტაქტს მრავალჯერ შემოუნათებია ჩვენი სტუდიის კედლებში გამარჯვების სიხარულით. ამ ფილმით ავტორებმა შთამაგონებელი ჰიმნი უმღერეს ადამიანის სულში ჩაქსოვილ სიკეთეს, მის განუზომელ ადამიანურ ღირსებებს... „ნერგების“ ღირსებას წარმოადგენს მისი ორიგინალური ჩანაფიქრი, რომელსაც ქართველი კაცის სულის სიდიადე, მისი ძნელად ამოსაცნობი ბუნება, მისი ჭირი და ლხინი უდევს საფუძვლად. ფილმის ავტორებმა შეძლეს მღელვარედ მოეთხროთ ადამიანის მაღალ ზნეობრივ დანიშნულებაზე ცხოვრებაში.

რ. ჩხეიძე ფილოსოფიურად აღიქვამს ადამიანს და მის ადგილს ცხოვრებაში. მისი ფილმების გმირებს უყვართ ცხოვრება, უყვართ ადამიანი და, რაც მთავარია, — სჯერათ ადამიანისა. საქართველოში, ნიჭისა და სილამაზის ქვეყანაში „ნერგების“ რეჟისორი, ცხოვრებას და მის მოვლენებს მხოლოდ ნათელ ფერებში ხედავს. ეს ყველა რეჟისორს როდი ეხერხება. ზოგს — მზით გაკაშკაშებულ ველზეც ებნელება.

„ნერგების“ სილამაზე მის ნათელ, გონებამახვილურად მოძებნილ დეტალებშია ჩაქსოვილი. ეს დეტალები ხალხურია, ჩვენი ხალხის ბუნებიდან გამომდინარე, სწორედ ეს დეტალებია, რომ ქმნიან ფილმის მიმზიდველობას, მის კოლორიტს.

ფილმში ისეთი ნათელი ატმოსფეროა შექმნილი, რომ მოქმედი პირები კარგად, ლაღად გრძნობენ თავს. ეს კი აუცილებელი პირობაა ეკრანზე სიმართლის დასამკვიდრებლად.

უაღრესად სადაა, და ამავე დროს ემოციური ფილმის სახვითი მხარე, ეს კი მეტყველებს სურათის მთავარი ოპერატორის აბესალომ მაისურაძის ნიჭიერებაზე. მისი წვლილი ამ სურათში ისეთივეა, როგორც თვითონ ფილმია. ა. მაისურაძის გამოსახულება თითქოს სადაა და უბრალო, მაგრამ იგი შესანიშნავად ხატავს როგორც სისხლსავსე ცოცხალ ადამიანთა ხასიათებს, ისე მრავალფეროვან გარემოს — ყოველი კადრი მოკრძალებული სისადავით არის შესრულებული. ასეთივე ქებას ღირსი არიან ფილმის მხატვრები ი. მეძმარიაშვილი, ტ. კრიმკოვსკაია, რომლებიც ქმნიან საინტერესო გარემოს და ამით შემოქმედებითად ამთავრებენ რეჟისორის ჩანაფიქრს. ფილმის მთავარი გმირის, სულმდგმელიანი ბერიკაცის ლუკას გულის სიკეთემ ჩვენს ხალხს შემოუნახა ის, რითაც დღეს თავი მოგვაქვს, რითაც ვამაყობთ, — ჩვენი უბერებელი ერის ლამაზი, უბერებელი კეთილი ტრადიციები. ლუკასებური შემართების ადამიანთა გარეშე გადაგვარდებოდა ერი, და გიხარია, რომ ასეთი დიდსულოვანი, მარად კეთილი მოხუცი გმირების მოვლენა ჩვენს ეკრანზე იმის საწინდარია, რომ ზოგიერთი, დღეს გზააბნეული, სინდისშემორჩენილი კაცი ჩააფიქროს და სიმართლის გზაზე გაიყვანოს.

ლუკა ქართველი კაცის, კაცური კაცის სახეა — საქციელით, ყოფაქცევით, გრძნობითა და ფიქრებით. ლუკა სულ ფიქრებშია. ფიქრობს ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე. ლუკა ფიქრობს, და საფიქრალს აბა რა გამოულევს სიკეთის საზომად გაჩენილ გლეხკაცს.

ქართველი კაცის ამ ლაღ ფიქრებს, მის მთრთოლვარე სულს, მის სათუთ გრძნობებს ელოლიავება — მსახიობის მოჭირნახულე, მუდამ მის გვერდით მდგომი, დღემ ამა თუ იმ ვითარებით აფორიაქებული ფილმის დამდგმელი-რეჟისორი. ლუკას სახით ღრმა სულიერი სამყაროს მქონე მსახიობმა რამაზ ჩხიკვაძემ, თვალსაჩინო პერსონაჟად აქცია ეს უშუალო მართალი ცხოვრების ორომტრიალში გამოწრთობილი გაუტეხელი გლეხკაცი.

რამაზ ჩხიკვაძე თეატრსა თუ კინოში, ყოველთვის თავისი გმირის სულსა და გულში ზის. ამიტომაც არის, რომ ამ მაღალნიჭიერი მსახიობის მიერ გამოძერწილი სახეები აზროვნებენ ეკრანზე.

ორიოდე სიტყვა ლუკას შვილიშვილზე — კახას როლის შემსრულებელ მიშიკო მესხზე, რომელიც თითქოს გვეძახებოთ ეკრანიდან: ახლა ასეთი ბიჭი ვარ, გავიზრდები — რა ვიქნებით?! ჩვენც გვჯერა, რომ გაიზრდება ლუკას პატარა ბიჭი და ყველასათვის სასახელო კაცი გახდება...

„ნერგებში“ მეორე პლანზე მოქმედებს მთელი გალერეა ერთმანეთთან მეტად კეთილად შეხამებული ადამიანთა ხასიათებისა, რომლებიც ხელს უწყობენ, აძლიერებენ მთავარი გმირის თვისების გახსნა-განვითარებას. ეს უპირველეს ყოვლისა ითქმის ისეთ ნათლად ძერწილ სახეებზე, რომლებიც განასახიერეს მსახიობებმა ს. თაყაიშვილმა, მ. ვაშაძემ, კ. კავსაძემ, ზ. ქაფიანიძემ და ს. სტრელკოვმა.

ამ მაღალმხატვრული ღირსების ფილმში აგრეთვე მთელი რიგი მაღალ დონეზე გადაწყვეტილი რეჟისორული ეპიზოდებია. ასეთია, მაგალითად, ლუკას დაძმაკაცება უცხოელ ტურისტებთან აეროპორტში, ასევე ბრწყინვალედ არის გააზრებული და განხორციელებული ეპიზოდი, სადაც გლოვასა და მწუხარებაში, მიცვალებულის გვერდით, უეცრად ჩვენებური სტუმარ-მასპინძლობის ცერემონიალი შემოიჭრება. ჭირისა და ლხინის, სიკვდილისა და სიცოცხლის ამ დაპირისპირებამ კიდევ უფრო აამაღლა, განამტკიცა და გააკეთილშობილა ჩვენი ხალხის ეს ოდითგანვე მესისხლხორცებული ძვირფასი ტრადიცია. ლუკას ჭირისუფლებთან მიხამძიმრება საკუთარი გრძნობასავით გაიზიარა მაყურებელმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილმის ბოლო ეპიზოდი, სადაც ადამიანის გადარჩენის სურვილით ანთებული ბერიკაცი, სიმწრით ნაშოვნ ხეჭეჭურას ნერგებს — მანქანის თვლებს დააგლეჯინებს. ამ საქციელით ფილმის მთავარმა გმირმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ქართველი კაცის დიდბუნებოვანი სულის ძლიერება.

სურვილი ერთია — ნურც მოგველევიან ჩვენს ქვეყანაში ასეთი შემართების ადამიანები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ნაკლოვანი მხარე როგორც თითქმის ყველგან, რა თქმა უნდა, ამ ფილმშიც არის. რეჟისორს, მაგალითად, შეეძლო უფრო თვალსაჩინოდ გამოეკვეთა თანამედროვე ცხოვრების ავკარგი და ამ ავკარგის ხასიათობრივი თვისებები. რეჟისორს შეეძლო და ფილმი ალბათ მოიგებდა, ზოგი ეპიზოდი რომ არ იყოს ზედმეტად გაჭიანურებული. სხვა მსგავსი ნაკლოვანებებიც მოიძებნება ფილმში, მაგრამ საბედნიეროდ, არ გვინდა აქვე რად უმნიშვნელო ნაკლოვანებების მიხედვით ვიმსჯელოთ ამ ფილმზე. „ნერგები“ საერთოდ კარგი, საჭირო, სასიამოვნო კინონაწარმოებია და ასეც მიიღო იგი მაყურებელმა.

შოთა მანაგაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი.

სასამართლო დარბაზიდან

ბედი მექრთამე კაცისა...

ქალაქ თბილისის № 2 მაცივრის № 2 საწყობში მეკუჭნავეებად მუშაობდნენ გიორგი თევდორეს-ძე დეკანოზიშვილი, ვალერი ივანეს-ძე ზარატუიკო და შოთა ნიკოლოზის-ძე ჯლარკავა. დეკანოზიშვილი უფროსი მეკუჭნავე ბრიგადირი იყო, ზარატუიკო — მისი მოადგილე, ხოლო ჯლარკავა — უფროსი მეკუჭნავე.

1972 წლის 19 მაისს ამ სამეულმა გორის რაიონის სოფლებიდან ჩამოსულ სავაჭრო ორგის მუშაკებს არტემ მურადაშვილს, ქეთევან ხვედელიძეს, ნიკოლოზ ფაცინაშვილს და ალექსი დავითაშვილს გამოუწერა 2704 კილოგრამი თევზი, აქედან 1634 კილოგრამი ფარფლწითელი (კრასნოპიორკა), 830 კილოგრამი ქაფშია (ხამსა), 240 კილოგრამი ქორჭილა. თევზის მიღების შემდეგ მათ მოსთხოვეს ქრთამი — თითო კილოგრამ ფარფლწითელის მიღებისათვის 50 კაპიკი, ქაფშიაზე 10 კაპიკი, სულ 890 მანეთი, ჩამოსულებმაც შეაგროვეს დასახელებული თანხა და გადასცეს ვ. ზარატუიკოს, რომელმაც თავის მხრივ ფული ჩააბარა დეკანოზიშვილს.

იმავე დღეს ზარატუიკომ სიღნაღის მაღაზიის გამგე-გამყიდველს ბიზო მარანდოვს 720 კილოგრამი თევზის მიცემისათვის გამოსძალა 50 მანეთი, ანაგის მაღაზიის გამგე-გამყიდველს ვალიკო ზუგაშვილს — 40 მანეთი, ახმეტის რაიონის სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველს ვალერი ლაზარიაშვილს — 30 მანეთი, ლაგოდეხელ ჯ. კოჯლამაზაშვილს — 80 მანეთი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა მექრთამეთა ბანდა გამოამჟღავნეს.

მაცივრის შემოწმების დროს აღმოჩნდა 2 ყუთი, რომლებშიც მოთავსებული იყო 32 შეკვრა, ქაღალდში ფაქიზად შეხვეული 1000-1000 მანეთიანი დასტები, რომლებიც დაფარული იყო ხიზილალის ბანკების შესაფუთი ნარმის ნაჭრებით. ყუთებში მოთავსებული შეკვრების გახსნისას აღმოჩნდა 31.780 მანეთი.

გარდა ამისა გ. დეკანოზიშვილს, ვ. ზარატუიკოს და შ. ჯლარკავას რომლებიც ითვლებოდნენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებად, შემოწმებისას აღმოაჩნდათ 1341 მანეთის დანაკლისი, მათვე დააკლდათ 14 კილოგრამი ზუთხი, 3 კილოგრამი ხიზილალა, აღმოაჩნდათ ზედმეტი სხვადასხვა სახის საქონელი 9797 მანეთისა.

არტემ მურადაშვილი მუშაობდა გორის რაიონის სოფელ პატარა გარეჯვრის სასურსათო ფარდულის გამგე-გამყიდველად. მან, როგორც აღვნიშნეთ, სხვა პირებთან ერთად, მათ შორის სასურსათო ფარდულის გამგე-გამყიდველ ლილი ჩუხრუკიძის მეუღლე ალექსი დავითაშვილთან ერთად, ქრთამი ჩააბარა ზარატუიკოს, რათა თევზეული გამოეწერა.

ამას წინათ მექრთამეთა საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უ. თარგამაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ი. სიჭინავას მონაწილეობით. მთავარ დამნაშავეს გიორგი დეკანოზიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით. კონფისკაცია გაუკეთდა გ. დეკანოზიშვილის სახელზე შემნახველ სალაროში შეტანილ 20.557 მანეთს და მის ავტომანქანა „მოსკვიჩს“.

ვალერი ზარატუიკოს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, ქონების კონფისკაციით, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. შოთა ჯლარკავას მიესაჯა 8 წლით პატიმრობა ქონების კონფისკაციით.

ქრთამის მიმცემებს არტემ მურადაშვილსა და ალექსი დავითაშვილს, რომლებმაც არ ამხილეს მექრთამეები, მიესაჯათ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ის პირები, რომლებმაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში განაცხადეს ქრთამის მიცემა და გულახდილად აღიარეს ეს ამბავი, განთავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

სასამართლოს განაჩენით მოხდა აგრეთვე მაცივარში აღმოჩენილი 31.780 მანეთის კონფისკაცია.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს მექრთამეთა ბანდა წლების განმავლობაში სჩადიოდა დანაშაულს, მაგრამ ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის ყველაფერი რატომღაც შეუმჩნეველი რჩებოდა...

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ მაცივრის ხელმძღვანელობიდან სასამართლოში მოწმედაც კი არავინ გამოუძახნიათ.

ო. კოლუაშვილი,
ჯ. სხვაველი.

ტელევიზია

19 აპრილი

პირველი პროგრამით

11.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მეცხრეკლასელთათვის. ციკლური ამჩქარებელი), 11.25 — კინოპროგრამა, 12.10 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მეცხრეკლასელთათვის. ციკლური ამჩქარებელი) განმეორებით, 12.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ადამიანი იქითა მხრიდან“ 16.25 — გადაცემათა პროგრამა 16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ქიმიაში, 17.15 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ალკოჰოლი და სამუშაო“ (ქართულ ენაზე), 18.20 — „მსოფლიოს ხელოვნების საგანძური“ — დელაკრუა, 19.00 — „პოეტი სტუდიაში“ — რევაზ ასავეი, 19.10 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 19.40 — შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა, 20.05 — საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის გახსნა, 20.50 — „მეგობრობის გზებზე“, 21.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30—„ახალგაზრდული ხმები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.15 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია. (მერვე, მეათეკლასელთათვის. საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნა), 18.00 — ფიზიკა (მერვეკლასელთათვის. მყარი სხეულის გადატანითი და ბრუნვითი მოძრაობა), 18.45 — განცხადებები, 18.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 19.50 — პოლიტიკურ ეკონომიაში, 20.50 — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 21.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორი ვიზიტი“.

რადიო

19 აპრილი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ს. პროკოფიევი. ნაწყვეტები ოპერა „დუენიადან“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“. საუბარი „კომუნისტები მაგალითს იძლევიან“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — ტ. ბაქრაძე. ინსტრუმენტული პიესები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — ფ. ლოუ. ფრაგმენტები ოპერეტიდან „ჩემი მშვენიერი ლედი“, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ა. ბალანჩივაძე. ორი საორკესტრო პიესა, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ წინწინავე სტატია, 13.40 — აზერბაიჯანული მუსიკა, 14.00 — „ვ. ი. ლენინის საყვარელი მუსიკალური ნაწარმოებები (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ე. ტუსკია. ნაწყვეტები ოპერა „სამშობლოდან“, 17.35 — მოსწავლეთათვის. „მკერდში დაჭრილი ბუნება“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — საესტრადო კონცერტი, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი — „კომუნიზმისათვის შრომა საბჭოთა ადამიანის უმაღლესი მოწოდებაა“, 19.20 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები მ. იაშვილის შესრულებით, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ვ. სოლოვიოვ-სედოი. მუსიკა კინოფილმებიდან, 20.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — გ. ჩიქოვანი. „თებერვალი დადგაო“. ნაწყვეტი რომანიდან, 21.40 — შ. გუნო. საოპერო მუსიკა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

19 აპრილი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — უცხო კაცი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შამთა სიავე; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.

და ვნახოთ, და გავიცინოთ

შემთხვევა

სიფხიზლემ იხსნა...

ხარაგაული. (საქ. კორ.). ინათა. რკინიგზის სადგურ ორჯონიკიძის მეორე სასტატოს შემომვლელი ნ. მესხი გულდასმით ათვალიერებდა სამოქმედო უბანს. მან შეამჩნია, რომ ლიანდაგში ქვა-ღორღი ჩამოზვავებულიყო. დაყოვნება არ შეიძლებოდა, რადგან სახალხო მატარებელი თბილისი-მახარაძე შემოდიოდა. საფრთხე გარდუვალი იყო, მაგრამ ნ. მესხი არ დაიბნა. შექმნილი ვითარება მან სასწრაფოდ აცნობა ელმავლის მემანქანეს, რომელმაც შემადგენლობა დროზე შეაჩერა და ავარია აიცილა.

სასწრაფოდ მოვიდა მაშველი რაზმი. ლიანდაგი გაიწმინდა. სახალხო მატარებელი დაიძრა...

სიფხიზლით თავი გამოიჩინა ლიანდაგის შემომვლელმა ალ. კურტანიძემაც. მატარებელი მოსკოვი-თბილისი მეზობელი სადგურიდან გამოვიდა და რამდენიმე წუთში სადგურ ორჯონიკიძეში უნდა შემოსულიყო. რკინიგზელმა ა. კურტანიძემ შეამჩნია, რომ ორივე რელსი გატეხილიყო. სახალხო მატარებელს ჩავარდნა ემუქრებოდა. ფხიზელმა შემომვლელმა სასწრაფო ზომები მიიღო და მოსალოდნელი საფრთხე აარიდა სახალხო მატარებელს.

ავარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

დაუდევრობის შედეგი

ზესტაფონი. (საქ. კორ.). შუადღე იყო, მძღოლი ლ. მახათაძე სოფელ არგვეთიდან ზესტაფონში მოაქროლებდა მანქანას. სტაროსელსკის ქუჩაზე ლ. მახათაძემ მანქანა დააჯახა ფეხით მიმავალ ანზორ ვარდოსანიძეს, რომელიც ნასვამი იყო. მას ფეხი მოტეხა და საავადმყოფოში მოათავსეს.

გვიან ღამით სამტრედიის ავტობუსს, რომელსაც მართავდა მძღოლი გურამ თვალავაძე, ღამის ქუჩის დამართებზე გაუფუჭდა სამუხრუჭე სისტემა. ავტობუსმა განავითარა გადაჭარბებული სიჩქარე, დაეჯახა ყორეს და გადაბრუნდა. დაზიანდა ექვსი მგზავრი, რომლებიც საავადმყოფოში მიიყვანეს. ამ შემთხვევას სამტრედიის სამგზავრო ავტოტრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელთა უყურადღებობა-უდარდელობამაც შეუწყო ხელი. ხშირად ისინი ნაკლებად ზრუნავენ ავტომანქანების ტექნიკური მომსახურებისათვის.

როდინოულიდან ბრუნდებოდა სოფელ თერჯოლის კოლმეურნეობის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მესამე კლასის მძღოლი გ. მაცაბერიძე. მან მანქანის საბურავზე დააყენა მთვრალი ს. ოსიძე. მძღოლმა ავტომანქანა გადაიყვანა გზის მარჯვენა მხარეს. ს. ოსიძე მოექცა ხესა და მანქანას შუა, მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ მძღოლი გ. მაცაბერიძე უსაბუთოდ იყო.

ჭიათურა-ზესტაფონის გზატკეცილზე — სოფელ რკვიაში ჭიათურელმა ჯ. ვაშაძემ „მოსკვიჩი“ დააჯახა შემხვედრ ავტომანქანას. დაზიანდნენ მძღოლი და მისი თანამგზავრი ღ. შილლაძე, რომელიც საავადმყოფოშია.

პ. ჩიოკაძე.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ პირს და ორგანიზაციას, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილის გივი გიორგის-ძე დოლიძის გარდაცვალების გამო.

გ. დოლიძის ოჯახი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.